სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ჯულიეტა ცაბაძე

პეიზაჟის მხატვრული ფუნქციები XIX საუკუნის ქართველ რეალისტ მწერალთა შემოქმედებაში

(ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ გოგოლაძე

პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

გორი

2021

ცაბაძე ჯ. „პეიზაჟის მხატვრული ფუნქციები XIX საუკუნის ქართველ რეალისტ მწერალთა შემოქმედებაში

(ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი)“

ანოტაცია

პეიზაჟი უძველესი დროიდან გამოიყენება მხატვრულ ტექსტებში, ხოლო პროზაულ ნაწარმოებში მას უკავია კომპოზიციის შემადგენელი ნაწილის ადგილი, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვით.

პეიზაჟის მხატვრული დატვირთვის კვლევა XIX საუკუნის ქართველი მწერლების, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის, შემოქმედებაში პირველად ხდება ჩვენი კომპლექსური შესწავლის საგანი, რაც გულისხმობდა მისი მხატვრული დანიშნულების შესწავლას (როგორც ეპიკური ნაწარმოების კომპოზიციის შემადგენელი ნაწილისა, ფონისა თუ პერსონაჟთა გუნება-განწყობილების გაძლიერება-შესუსტების გადმოცემისა) სხვადასხვა თვალსაზრისით. კვლევამ ცხადყო, ზემოთდასახელებული მწერლების მიერ სხვადასხვა ჟანრში პეიზაჟისათვის ახალი ფუნქციური დატვირთვის მიზნით გამოყენება, რაც, ძირითადად, ექვემდებარებოდა, ტრადიციის გათვალისწინებასთან ერთად, ეროვნული და სოციალური მიზანსწრაფვის აქცენტირებულად გადმოცემას.

Tsabadze J.

"Artistic Functions of Landscape in the Works of Georgian Realist Writers of the XIX Century

(Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Alexandre Kazbegi) "

Annotation

Landscape has been used in fictional texts since ancient times, and it is an integral part of a prosaic composition, which is presented by various functional meanings.

The study of the artistic meaning of a landscape in the works of Georgian writers of the XIX century, representatives of critical realism, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli and Alexandre Kazbegi, becomes the subject of our complex study for the first time. It meant to study the artistic value of landscapes (as a part of a composition, background and depicting rising and fall of characters' mood) from different viewpoints.

The study revealed the use of landscapes for new functional meaning in different genres by above-mentioned writers, which was mainly presenting national and social purposes together with taking into consideration traditions.

შინაარსი

ანოტაცია……..
Annotation …….....2
შინაარსი.....3
შესავალი……4-10
თავი I. საკითხის ისტორიისათვის ქართულ ლიტერატურაში (უძველესი დროიდან XX საუკუნემდე)
§1. პეიზაჟის მხატვრული ფუნქციის ისტორია ძველ ქართულ მწერლობაში…….…10-18
§2. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია რომანტიკულ ლიტერატურაში…18-25
§3. პეიზაჟის სპეციფიკური თავისებურებანი რეალისტურ მწერლობაში (რომანტიზმის მხატვრულ თავისებურებებთან შედარებით) ……...25-30
თავი II. პეიზაჟი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში
§1.პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია ილია ჭავჭავაძის ლირიკაში…… 31-36
§2. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია ილია ჭავჭავაძის პოემებში……....36-45
§3. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია ილია ჭავჭავაძის პროზაში ……45-49
თავი III. პეიზაჟი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში
§1. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია აკაკი წერეთლის ლირიკაში……...50-58
§2. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია აკაკი წერეთლის პოემებში……..…58-63
§3. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია აკაკი წერეთლის პროზაში…….63-65
თავი IV. პეიზაჟი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში
§1. მკვლევართა ნააზრევიდან პეიზაჟის დანიშნულებაზე ალექსანდრე ყაზბეგის პროზაში……66-67
§2. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებში…….67-75
დასკვნა……..76-77
გამოყენებული ლიტერატურა …….78-79

შესავალი

მხატვრული ნაწარმოების პრობლემატიკა, ტექსტში, უმეტესწილად, გადმოიცემა მხატვრულ სახეთა სისტემით და ფორმით. აღწერს რა მწერალი მოვლენებს, ხასიათებს, მოქმედ პირთა გრძნობებს, მათი უშუალო გაშლა ხდება ამა თუ იმ ლიტერატურული ხერხით, რომელშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პეიზაჟს. პეიზაჟი წარმოდგება ფრანგული სიტყვისაგან **p a u s a g e**, რაც ნიშნავს ქვეყანას, ადგილს. „...მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი კომპოზიციური ელემენტია. ავტორის სტილიდან, ლიტერატურული მიმდინარეობიდან, მხატვრული მეთოდიდან და ასევე, თავად ნაწარმოების ჟანრიდან გამომდინარე იგი შეიძლება სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდეს.“[1]

ნ. ბაღდავაძის ნაშრომში „პეიზაჟის ლინგვისტური მახასიათებლები დისკურსის სხვადასხვა ჟანრში“, განმარტებულია, რომ: „ტერმინი landscape (პეიზაჟი) წარმოიშვა ჰოლანდიური სიტყვიდან landschap. თავდაპირველად ის აღნიშნავდა „რეგიონს, მიწის ნაკვეთს“, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში შეიძინა შემდეგი კონოტაცია: „სურათი, რომელიც ასახავს ხედს.“[2] პეიზაჟი არის „მხატვრულ ნაწარმოებში, ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიციური კომპონენტი.“[3] როგორც ცნობილია, ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიცია დამოკიდებულია მხატვრული ნაწარმოების ჟანრობრივ თავისებურებებზეც, იქნება ეს ლირიკა, თუ ეპოსი.

---

[1] ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი, 2008, გვ.126.

[2] ნ. ბაღდავაძე, „პეიზაჟის ლინგვისტური მახასიათებლები დისკურსის სხვადასხვა ჟანრში“, თსუ, თბილისი, 2013, გვ.9. https://www.tsu.ge/data/file_db/library/bagdavadze_peizaJis.pdf.

[3] რ. ჭილაია, „ლიტერატურათმცოდნეობა-ენციკლოპედიური ცნობარი“, თბილისი, 2003, გვ.124.

განსაკუთრებით რთულია მისი გამოყენება მწერლის მიერ, ეპიკური ჟანრის ნაწარმოებში. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება პეიზაჟს, რომელიც შესაძლებელია იყოს ექსპოზიციის ნაწილიც. როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსები აღნიშნავენ, ხშირად გვხვდება **პეიზაჟური ექსპოზიციაც.** ასევე შეიძლება შეგვხვდეს იგი, როგორც პროლოგში, ისე მოქმედების განვითარებაში, თუ ბოლო ამბავში. პეიზაჟს ყოველთვის მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ლიტერატურის თეორეტიკოსებიც და მკვლევარნიც, უმეტესწილად ნაწარმოების მხატვრულ მხარეზე საუბრისას.

აქედან ზოგიერთი მკვლევარი მიჰყვება შესასწავლი მწერლის მთლიან შემოქმედებას და ასე განიხილავს პეიზაჟის ფუნქციასაც, ზოგი კი მხოლოდ ჟანრობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით იკვლევს მასალას. ჩვენ ვცადეთ აღნიშნული საკითხის ერთი მონაკვეთის, კერძოდ, XIX საუკუნის ქართული რეალისტური ლიტერატურის მაგალითზე, მონოგრაფიული შესწავლა. ლიტერატურის თეორეტიკოსი, **სიმონ გაჩეჩილაძე**, რომელმაც შექმნა ლიტერატურის თეორიის ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო, გამოკვეთილად აღნიშნავს რა პეიზაჟის მნიშვნელობას, განსაკუთრებით, ეპიკურ ნაწარმოებში, წერს: „ბუნების სურათი, პეიზაჟი, ხშირად მოგვაგონებს ნაწარმოების გმირის და თვით ავტორის განწყობილებას, უკანასკნელის დამოკიდებულებას იმ მოვლენებისადმი, რაც ბუნების ფონზე ხდება.“[1] ამდენად, ყურადღება მახვილდება, ძირითადად ეპიკურ ნაწარმოებში გამოყენებულ პეიზაჟზე. ს. გაჩეჩილაძე, მოგვიანებით გამოცემულ წიგნში „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“, ყურადღებას ამახვილებს, როგორც ლირიკულ, ისე ეპიკურ ნაწარმოებზე და გამოკვეთს განსხვავებას ლექსსა, თუ პროზაულ ნაწარმოებში, პეიზაჟის გამოყენებაზე. „პეიზაჟს ზოგიერთ ლექსში ან მხატვრულ პროზაში დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, ასეთ ნაწარმოებში ბუნების სურათს კი არ აქვს დამხმარე მნიშვნელობა, არამედ თვით ნაწარმოებია შექმნილი ბუნების სურათის გადმოცემის მიზნით. უფრო ხშირად პეიზაჟი გამოყენებულია თხრობით

[1] ს. გაჩეჩილაძე, „ლიტერატურის თეორია“, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1952, გვ.53.

ნაწარმოებებში და იქ მას კომპოზიციის მნიშვნელობა აქვს.“[1] ჩვენთვის მნიშვნელოვანია სწორედ მკვლევრის მინიშნება, პეიზაჟის დამოუკიდებელი მნიშვნელობის შესახებ და იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ რომანტიკოსებთან პეიზაჟი ემსახურება პოეტის მიერ ბუნებით აღფრთოვანებით გამოხატულ გრძნობას, მაგრამ აქვე აღნიშნავს მკვლევარი, რომ „რომანტიკოსების ზოგიერთ პეიზაჟში ადამიანი გამოყვანილია როგორც ბუნების პასიური მჭვრეტელი, მისი მონა, მისი მორჩილი. სოციალისტურ ხელოვნებაში კი პეიზაჟის ასახვის დროს, თანამედროვე ადამიანი იგრძნობა, როგორც ბუნების გარდამქმნელი, მისი მეუფე და არა თვით ბუნებისაგან დამონებული.“[2]

აღნიშნულ ციტატაში მკვლევარი ცდილობს გაამახვილოს ყურადღება, თუ რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს პეიზაჟს სოციალისტურ ხელოვნებაში, რაც გამომდინარეობდა სოცრეალიზმის კონიუნქტურის მოთხოვნილებებიდან. თუმცა მკვლევართან არის ხაზგასმა იმ გარემოებებისაც, რომ პეიზაჟს რეალისტებთან (იგულისხმება ილია ჭავჭავაძე) უფრო მეტად ფუნქციონალური დანიშნულება აქვს, ამდენად შემდგომი პერიოდის მკვლევრებთანაც (ნ. ალანია, ბ. დობორჯგინიძე, მ. დუდუჩავა, ა. ჭილაია და ა. შ.) გამოიკვეთა ერთი აუცილებელი პრინციპი: „ბუნების სურათების წარმოსახვა, მათი ფუნქციისა და ხასიათის სხვადასხვაობის მიუხედავად, ყოველთვის აძლიერებს ნაწარმოების მხატვრულ ემოციურ მხარეს. ამასთან, იგი ადამიანს უვითარებს ბუნებისადმი ესთეტიკურ ემოციურ დამოკიდებულებას, მისი მშვენიერებით დატკბობის უნარს.“[3] ამდენად, გამოიყოფა პეიზაჟის კიდევ ერთი ფუნქცია მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება და ესთეტიკური გრძნობის განვითარების საშუალება, რასაც ემატება ეპიკური

[1]ს. გაჩეჩილაძე, „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, „სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი“, თბილისი, 1957 გვ. 185.
[2] ს. გაჩეჩილაძე, „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, „სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი“, თბილისი, 1957, გვ. 185 .
[3] ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, „ნაკადული“, თბილისი, 1966, გვ. 103.

ნაწარმოებებში, „პეიზაჟის, როგორც გმირთა განწყობილების ძლიერი ემოციების გამოსახატავი ხერხი.“[1]

ჯერ კიდევ ანტიკურ ლიტერატურაშიც გვხვდება პეიზაჟი, როგორც კომპოზიციის ნაწილი, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მას, მოგვიანებით, სენტიმენტალურ ლიტერატურაში, ხოლო XIX საუკუნიდან კი რომანტიკულ ლიტერატურაში. რომანტიზმის ძირითადი სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი, ძირითადად გამოხატავს „ერთგვარ საშუალებას უჩვეულო, ზოგჯერ ფანტასტიკური სამყაროს წარმოსაჩენად, რომელიც რეალობას უპირისპირდება. ასეთი პეიზაჟი გმირის შინაგან სამყაროსთან - მგრძნობიარე, სასოწარკვეთილ, მელანქოლიურ, ან, პირიქით, მოუსვენარ, მეამბოხე მებრძოლთან-სრულ ჰარმონიაშია. იგი ხელს უწყობს რომანტიზმის ერთერთი ცენტრალური თემის - ოცნებისა და რეალობის დაპირისპირების გამოხატვას, წარმოაჩენს რომანტიკული გმირის სულიერ მისწრაფებებს, მის ემოციურ ფონს. რომანტიკოსებს ბუნება იზიდავთ „მარადიულობის“ გამოც. ადამიანებისა და მათი ყოფისაგან განსხვავებით იგი ნაკლებად ემორჩილება „ჟამთა სვლას.“[2]

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მხატვრულ აზროვნებაში მკვიდრდება კრიტიკული რეალიზმი, რომლის ძირითადი, შემოქმედებითი პროგრამა მოიცავს ცხოვრებისეული სიმართლის ასახვას. წინამდებარე ნაშრომში ჩვენი ყურადღება მახვილდება, ძირითადად, ქართული კრიტიკული რეალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელთა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაზე, მათი ჟანრობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, რამდენადაც 60-იანი წლებიდან, ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში დგება ახალი ერა. **ილია ჭავჭავაძის** იდეოლოგია გულისხმობს ეროვნული და სოციალური პრობლემების წარმოჩენას მწერლის შემოქმედებაში და აქვე გამოიყოფა პოეტის მიზანიც, ემსახუროს მას, იყოს მასთან ჭირსა თუ ლხინში,

[1] ა. ჭილაია, „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები“, თსუ, თბილისი, 1971, გვ. 318.
[2] ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი, 2008, გვ.126.

ჩაუნერგოს იმედი სოციალური, თუ ეროვნული სამართლიანობის აღდგენისა. ასეთივე იდეითაა გამსჭვალული **აკაკი წერეთლის** იდეურ-ესთეტიკური მრწამსიც, რომელშიც რეალისტურად აისახება საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში ძირითადად მიმდინარეობს დაპირისპირება ბოროტებასა და სიკეთეს შორის. მათში დახატულია მთის ადათ-წესები, ტრადიციები და გმირთა ბრძოლა, რუსეთის მიერ თავსმოხვეული, ახალი დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

პეიზაჟი, ქართველ რეალისტ მწერლებთან, წარმოდგენილია თითქმის ყველა ჟანრში ლირიკასა, პოემებსა თუ პროზაში. აქ მათი მიზანსწრაფვა უკავშირდება, რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოიყენონ მხატვრული ხერხები, საკუთარი ეროვნულ-სოციალური პრობლემატიკის წარმოსაჩენად.

კრიტიკოს **კიტა აბაშიძის** აზრით, ალექსანდრე ყაზბეგმა წარმოაჩინა, ის ძლიერი კავშირი, რომელიც არსებობდა ადამიანსა და ბუნებას შორის, ამიტომ არის, რომ „ესენი თითქო ერთად შეზრდილნი, ერთად შედუღებულნი არიან სულითა და გულით. გრძნობით და გონებით. ამიტომაც არის, რომ ბუნება ყაზბეგისა კაცის მეგობარია, კაცის ნუგეში, კაცის აღშფოთებული გრძნობის თავშესაფარი.“[1]

ვახტანგ კოტეტიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ალექსანდრე ყაზბეგის პეიზაჟის იმ თავისებურებაზე, რომელიც უფრო პერსონაჟთა განწყობის გამძაფრების გამოხატვისათვის არის მნიშვნელოვანი და ერთგვარად თითქმის რომანტიკული ხასიათიც აქვს.

ვ. კოტეტიშვილი ცდილობს ალექსანდრე ყაზბეგთან პეიზაჟი ესთეტიკურად, მაღალმხატვრული წარმოაჩინოს, მაგრამ, მკვლევარის აზრით, „თუ ბუნებას ავიღებ როგორც სტატიკაში გაქვავებულს, უნდა ითქვას, რომ ალ. ყაზბეგი ასეთი ბუნების მხატვარი არ არის“.[2] „ამ დიდი ნატურის წინაშე იგი მუხლს არ იდრეკს, რადგან არა სწამს გაქვავებული

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, თსუ, თბილისი, 196, გვ. 281.
[2] ვ .კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965; გვ. 547.

ბუნება….მხოლოდ იმ ბუნებისათვის იხსნის პირს ხანჯლით, რომელიც სჭირდება ძირითადი აზრის გამოსახატავად.“[1]

მკვლევართა ნააზრევი არაიშვიათად გამოკვეთს პეიზაჟის წარმოჩენის სპეციფიკას ზემოთდასახელებულ სამ რეალისტ მწერალთან. მათი ნააზრევი გამოყენებული იქნება საკვლევი თემის შესაბამის ადგილას. **სამაგისტრო ნაშრომში დასმული პრობლემა ჩვენთვის თვალსაჩინოდ წარმოსდგა იმის გამო, რომ შესასწავლი საკითხი, ჩვენს მიერ მოძიებული ლიტერატურით, არ იყო მონოგრაფიულად დამუშავებული წინამორბედი, ძველი ქართული ლიტერატურისა და რომანტიკული ლიტერატურის მასალებზე დაყრდნობით, ტრადიციებისა და სიახლის გათვალისწინებით, კრიტიკული რეალიზმის მწერალთა შემოქმედებაში. ასეთი კომპლექსური შესწავლა ზემოთდასახელებული რეალისტი მწერლების შემოქმედებისა, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების მაგალითზე, მათი მხატვრული დატვირთვის ფუნქციის გამოსაკვეთად, პირველად ხორციელდება ჩვენს მიერ, რაც წარმოადგენს ნაშრომის სიახლეს.**

ნაშრომი **აქტუალურია**, რამდენადაც მასში წარმოჩინდება პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია, სხვადასხვა კუთხით, წინამორბედი ლიტერატურული მიმართულებისგან განსხვავებით, რეალისტურ მწერლობაში პეიზაჟის ჩვენების თვალსაზრისით, რაც გადაჰყვა შემდგომი პერიოდის მწერალთა შემოქმედებასაც. მისი **აქტუალობის გამოკვეთა** ხელს შეუწყობს მკითხველს, იქნება ის მეცნიერი, თუ სტუდენტი, კარგად გაერკვეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს პეიზაჟს მხატვრულ ნაწარმოებში, განსაკუთრებით საყურადღებო იქნება სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის, მხატვრული კომპოზიციის ამ მნიშვნელოვანი ნაწილის დანიშნულების გარკვევის თვალსაზრისით.

ნაშრომის **მიზანია**, იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რაც სხვადასხვაგვარად წარმოჩინდა, როგორც ზემოთაღნიშნული მწერლების ლირიკაში, ისე პოემებსა და პროზაულ ნაწარმოებებში. ყურადღება

[1] იქვე, გვ. 551-552.

გამახვილდება მისი სხვადასხვა დატვირთვის განსაზღვრაზე, იქნება ეს სიუჟეტის შემადგენელი ნაწილი, თუ მოქმედების, ან გმირთა განცდების გამომხატველი ფონი, აქვე გამოიყოფა სპეციფიკური თავისებურებანი ამ ავტორების შემოქმედებაში შორის შესწავლით თვით ჟანრობრივად განსხვავებული ნაწარმოებთა ანალიზისას.

კვლევისას გამოიყენება ისტორიულ-შედარებითი და დაპირისპირებითი **მეთოდები** (მაგალითად, ბრძოლის დაწყების წინ, პეიზაჟის გადმოცემისას მსგავსება და განსხვავება პეიზაჟის გამოყენებაზე რომანტიკოს გრიგოლ ორბელიანთან („სადღეგრძელო“) და რეალისტ აკაკი წერეთელთან („თორნიკე ერისთავი“).

ნაშრომის ძირითად ნაწილში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. პეიზაჟი, როგორც დამოუკიდებლად არსებული მხატვრული ხერხი ლირიკაში;
2. პეიზაჟი, როგორც მწერლის ძირითადი იდეურ-მსოფლმხედველობის გამომხატველი (ლირიკაში);
3. პეიზაჟი, როგორც მხატვრული ფონი ეპიკური ნაწარმოებისათვის (პოემა, პროზა);
4. პეიზაჟი, როგორც გმირების ბუნება-განწყობილების გამაძლიერებელი ხერხი (პოემა, პროზა);
5. პეიზაჟი, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების გამომხატველი, რომელიც გაიშლება ოთხ თავსა და თითოეული თავის პარაგრაფებში.

ჩვენს მიერ განსახილველი თემის შესწავლა წარმოებდა ძირითად ლიტერატურულ მიმართულებათა ფონზე, მწერლის სტილის თავისებურებების გათვალისწინებით, გამოყენებული იქნა რა გსსუ ბიბლიოთეკასა, თუ საქართველოს პარლამენტის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ლიტერატურული მასალები, ინტერნეტული მასალები.

თავი I. საკითხის ისტორიისათვის ქართულ ლიტერატურაში (უძველესი დროიდან XX საუკუნემდე)

§1. პეიზაჟის მხატვრული ფუნქციის ისტორია ძველ ქართულ მწერლობაში

ძველი ქართული მწერლობის ისტორია, როგორც დასაწყისი ქართული ლიტერატურისა, პეიზაჟის გამოყენების კუთხით მოითხოვს შესწავლას. **კორნელი კეკელიძემ,** თავის ნაშრომში „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, გამოყო რა ეტაპები ქართული მწერლობის განვითარებისა XIX საუკუნემდე, ყურადღება გაამახვილა ლიტერატურის ჟანრობრივ თავისებურებებზე და კომპოზიციის შემადგენელი ნაწილების წარმოჩენაზე.

ძველი ქართული მწერლობის პირველი პერიოდის, ჩვენამდე მოღწეული, ნიმუშებიდან, ძირითადად, შემორჩენილია სასულიერო ლიტერატურა, ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული მწერლობა. რამდენადაც ჰაგიოგრაფია არის სასულიერო პროზა, რომელიც აღწერს წამებულთა ან წმინდანთა ცხოვრებას, მისი სპეციფიკა განაპირობებდა პეიზაჟის გამოყენებასაც. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში, მცირე დოზით, თუმცა, მაინც გვხვდება პეიზაჟი, როგორც ნაწარმოების კომპოზიციური ელემენტი. როგორც **კორნელი კეკელიძე** აღნიშნავს: „აქ ჩვენ ვპოულობთ, არაიშვიათად, ლანდშაფტს, ბუნების სურათებს, ლირიკულ და პათეტიკურ ადგილებს.“[1] ამდენად, პეიზაჟის მხატვრული დატვირთვა, სასულიერო ლიტერატურაში, ძირითადად, ემსახურება წმინდანის ცხოვრებისათვის შექმნილი ლანდშაფტის აღწერას, რომელიც უფრო მეტად მკაცრია, უდაბური, მაგრამ სასარგებლო განმარტოებული სასულიერო პირის ყოფისათვის. პეიზაჟი აქ ასრულებს წმინდანის, თუ მოწამისათვის

[1] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.)“,თბილისი, 1969, გვ.60.

აუცილებელი, დადებითი, ან უარყოფითი ბუნების სურათის გადმოცემას და მისადმი არის დაქვემდებარებული.

ძველი ქართული მწერლობის პირველ ძეგლში, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“(V საუკუნე), მხოლოდ ერთგან ვხვდებით ჰერეთის მკაცრ ბუნებას, რომელიც პეიზაჟში უფრო გამძაფრებულია იქ მცხოვრებთათვის, არახელსაყრელი პირობების გამო. იაკობ ხუცესს აღწერილი აქვს ის ადგილი, სადაც შუშანიკ დედოფალი იტანჯებოდა: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მცხუნვარებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწრეტილნი და დამშრალნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი.“ [1] ავტორი აქ საგანგებოდ გადმოსცემს ჰერეთის მკაცრ ბუნებას, იმის დასტურად, რომ წამებულ დედოფალს გარდა ცხოვრებისეული სირთულისა, ბუნების მიერ მოვლენილი გასაჭირის გაძლებაც უწევდა.

იოანე საბანისძის „ჰაბო ტფილელის წამებაში“(VIII საუკუნე), ჩართულ ეპიზოდს წარმოადგენს პეიზაჟი მტკვრის სანაპიროს აღწერისა ქალაქ ტფილისში. ხოლო სასწაული, რომელიც უკავშირდება, ნათლის სვეტის გამოჩენას იმ ადგილას, სადაც აწამეს წმინდა ჰაბო, ისევ წმინდანის მხატვრული სახის წარმოჩენას ემსახურება: „ხიდსა მას ქვეშე, აღმობრწყინდეს ნათელნი სვეტისა მსგავსად, ვითარცა ელვანი, რომელნი კვალად მყოვარ ჯამ დგეს. და განათლებულ იყო გარემოჲსა კიდეთა მის მდინარისათა კლდეჲ იგი და კბოდენი და ხიდი იგი ზეჲთგან ვიდრე ქვედმდე.“ [2]

ასეთივე ფუნქციითაა წარმოდგენილი უცნობი ავტორის „დავით და კონსტანტინეს წამებაში“ (ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ XII საუკუნის ხელნაწერი) მოცემული პეიზაჟი: „რამეთუ შთამოდგეს ზეცით სამნი სვეტნი ნათლისანი ტბასა მას ზედა ფრიად ბრწყინვალენი, რამეთუ ღამესა მას

[1] ქართული მწერლობა, ტომი I, „ნაკადული“, თბილისი, 1987, გვ.238-239
[2] იქვე, გვ.467-468.

უკუნსა განათლდეს ველნი და ტყენი ბრწყინვალებისა მისგან, რომელნი გამოჰკრთებოდეს სვეტთა მათგან ნათლისათა.“[1]

რაც შეეხება წმინდანის ცხოვრების აღწერას, აქაც ავტორები ცდილობენ გამოკვეთონ ის ფაქტი, რომ მოწამეობრივად მცხოვრები მამებისათვის საძიებელი და აუცილებელი იყო ისეთი პირობები, რომელიც მათ მისცემდა საშუალებას ეღვაწათ ღვთისათვის. ამაზე ამახვილებდა ყურადღებას **კორნელი კეკელიძე**, როდესაც წერდა: „ავტორს ეხერხება პეიზაჟი, ის ცოცხალი და სულწარმტაცი ფერებით გვიხატავს ბუნების სურათს, აი, მაგალითად, როგორ აგვიწერს ის იმ ადგილებს, სადაც გრიგოლს თავისი მონასტრები გაუშენებია. „კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხჱ შესწურავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თვისსა საზღუარსა უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ, მზუარჱ.“ [2]

იმავე ნაწარმოებში ვკითხულობთ: „ხოლო იწყეს სვლად პირსა მის მდინარისას დასავლეთით კერძო და, ვითარ ვლეს, მიიწივნეს შესაკრებელს ორთა მათ წყალთასა.“ [3]

უშუალოდ ბუნებისა და ქვეყნის აღწერას ემსახურება, ერთი ეპიზოდი: „ხოლო წყალი კეთილი და შეშაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ აქვს აღმოცენებული მათ შინა, ურიცხვი მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოითაჲ. ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმერთისაგან. და არს იგი უგზო და მიუვალ რაჲთურთით სოფლისა წესითა მცხორებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალსა არს მკვიდრობაჲ მათი. და მორტყმულ არს ერთ კერძო მთაჲ იგი და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსვლაჲ გარემოადგეს ზღუდისსახედ უძრავისა. და ესრეთ ყოვლითა შეზღუდვით არიან მთათა მიერ და ხევნებისა და წყალთა

[1] ქართული მწერლობა, ტომი I, „ნაკადული“, თბილისი, 1987, გვ.499.
[2] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.)“, თბილისი, 1969, გვ.103.
[3] ქართული მწერლობა, ტომი I, „ნაკადული“, თბილისი, 1987, გვ.652.

მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა. და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქვეყანაჲ, არცა ყანაჲ სახნავი.“ [1]

ამავე მიზანს ემსახურება სხვაგან გამოყენებული პეიზაჟი, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.“

ბასილი ზარზმელის თხზულება, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ (ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ XVI საუკუნის ხელნაწერი) მოგვითხრობს, იმ ადგილებზე, სადაც მოუწია თავისი სასულიერო საქმიანობა სერაპიონ ზარზმელს. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება ტბა ძინძეს აღწერაზე, რომელიც თავისი ოხშივარით წამლავდა არემარეს: „და იხილა აღმოსავალით მას ტბაჲ, აღრეული ლალითა, რომელი იგი სახედ მწჯრისა იხილვებოდა.“ [2]

როგორც მკვლევარი, **კორნელი კეკელიძე** აღნიშნავს: „აქ მშვენივრად არის აღწერილი ზარზმის მიდამოების ბუნება და მოსახლეობა, ზარზმის აგების ამბავი, გიორგი ჩორჩანელის სამფლობელო და სანადირო დაწესებულებანი.“[3]

ეს გაუვალი და ველური ადგილები განიწმინდა მონასტრის აგების შემდეგ. ბასილი ზარზმელმა აჩვენა, თუ როგორ გარდაიქმნება ბუნება ღვთის ძალით და მისგან მოვლინებული წმინდანის მოღვაწეობის მეშვეობით. აქ ჩანს პეიზაჟისა და ადამიანის დამოკიდებულებაც, როგორც ბოროტებისა და სიკეთისა, რომელშიც წმინდანის მეშვეობით უკუგდებულ იქნება ბუნების უარყოფითი გავლენა გარემოზე. ამის შესახებ მკვლევარ **ა. ბარამიძეს** მოჰყავს ასეთი ციტატა ნაწარმოებიდან: „რათა უმეტეს გამოჩნდეს კეთილთა მათ ნერგთა ნაყოფთმცენარეებაჲ და ამისა შემდგომ კუალად არა ოდენ ას წელ, არამედ უმეტესცა რტოგანრთხმით გარდაფენილებაჲ ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად, რათა დასასრულსა

[1] ქართული მწერლობა, ტომი I, „ნაკადული“, თბილისი, 1987,გვ.556.
[2] იქვე გვ. 654.
[3] კ. კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტომი I,“მეცნიერება“, თბილისი, 1980, გვ.151.

თხრობისასა გულიხმაჰყოთ, თუ ვითარი ტკბილი და შუენიერი დამწიფდა ტევანი მათისა მის მოძღრებისა ნამუშაკეთა.“[1]

სასულიერო პროზა ლიტერატურათმცოდნეთა მიერ ხასიათდება ლიტურგიკულ და სამოძღვრებო-თხრობითად. აღნიშნულ ნაწარმოებებში, ძირითადად, მცენარეული და ცხოველთა სამყარო, თვით ბუნებაც დაქვემდებარებულია წმინდანების ხოტბისადმი და, ამდენად, პეიზაჟის მხატვრული დანიშნულება, ლიტერატურათმცოდნეთა მიერ, ნაკლებად არის გამოკვეთილი. აღნიშნულ საკითხზე წინამდებარე ნაშრომში არ შევაჩერებთ ყურადღებას.

X საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე პერიოდი, იგივე კლასიკური ხანა, როდესაც იქმნება ძალზე მნიშვნელოვანი საერო მხატვრული ლიტერატურა. კლასიკური პერიოდის, ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია, ძველი სპარსულიდან გადმოღებული „ვისრამიანი“, რომელიც ქართულად სარგის თმოგველს უთარგმნია. სხვა მხატვრულ ლიტერატურულ ხერხებთან ერთად, აქ გვხვდება პეიზაჟიც, როგორც ნაწარმოების კომპოზიციის ერთ-ერთი ნაწილი. პეიზაჟი აქ გამოყენებულია, როგორც უშუალოდ ბუნების სურათის გადმოსაცემად, ისე მოქმედი გმირების, ფიზიკური სილამაზის აღწერის გასაძლიერებლად. ერთგან ვკითხულობთ: „მათსა ქვეყანასა პურძვირობა და სეტყვაა, მითამც ქარი ჭირისა და მთვარე ბოროტისა, და მზე მათი სიკვდილისა, და ღრუბელი უწვიმო, და მათი მიწა უნაყოფო.“ [2] ან: „სიკეკლუცითა მათი დარბაზი ესრე შეკაზმული იყო, ვითა ცა მასკვლავითა და მათ შუა ჯდა დედოფალი, ვითა მასკვლავთა შუა მთვარე გავსილი.“ [3]აქ უკვე პერსონაჟის ფიზიკური სილამაზის გადმოცემასთან გვაქვს საქმე. იგივე შეიძლება ითქვას მომდევნო მონაკვეთზე: „ანაზდად ღმერთისა

[1] ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.) უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1987, გვ. 102.
[2] „ვისრამიანი“, ა .გვახარიასა და მ. თოდუას რედაქციით“, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1964, გვ.21.
[3]იქვე, გვ.21-22.

განგებისაგან ადგა დიდი ქარი და მოჰგლიჯა კუბოსა სახურავი ფარდაგი. თუ სთქვა, ღრუბლისაგან ელვა გამოჩნდა, ანუ ანაზდად მზე ამოვიდა.“ [1]

პეიზაჟი მრავლად გვხვდება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში.“ აქ იგი გამოიყენება, როგორც ბუნების სურათის, ისე ესთეტიკური გრძნობის, გმირის გარეგნული, თუ შინაგანი განცდების გამოხატვის ხერხი, ხშირად კი შედარებისათვის. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან.“

„იგი მინდორი დალიეს, მართ მათგან განარბენია,
მინდორსა იქით წყალი დის და წყლისა პირსა ტყენია.“ [2]

მგლოვიარე, ცრემლ-მდინარ ტარიელს ასე აღწერს რუსთველი: „მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა.“ [3]თინათინის უბადლო სილამაზის გადმოსაცემად კი ვკითხულობთ:

„იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად შვენოდა,
მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰფენოდა.“ [4]

როგორც აღვნიშნეთ, პეიზაჟი „ვეფხისტყაოსანში“, პერსონაჟთა გრძნობისა და შინაგანი განცდების გამოსახატადაც გამოიყენება, მაგალითად, ავთანდილი მტკივნეულად განიცდის თინათინთან განშორებას, როდესაც სატრფო მას უცხო მოყმის საძებნელად სთხოვს წასვლას:

„საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, და-ცა-ეზროს,
იგი სადმე გაღარიბდეს, საყოფთაგან იაბეზროს.“ [5] ან,
„ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჭნებოდა.“ [6]

აქ პეიზაჟი გვეხმარება შევიგრძნოთ, თუ როგორ უჭირდა სატრფოსაგან შორს ყოფნა ავთანდილს და რას გრძნობდა მისი გული.

XVI-XVIII მწერლობას აღორძინების პერიოდის მწერლობას ვუწოდებთ. ამ ეპოქის წარმომადგენლები არიან თეიმურაზი, დავით გურამიშვილი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, სულხან საბა ორბელიანი და სხვ. მათ

[1] „ვისრამიანი“, ა .გვახარიასა და მ. თოდუას რედაქციით“, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1964, გვ.44.
[2] შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, გვ.15.
[3] იქვე, გვ.17.
[4] იქვე, გვ.23.
[5] იქვე, გვ.33.
[6] იქვე, გვ. 33.

შემოქმედებაშიც ვხვდებით პეიზაჟს. მკვლევარ **კორნელი კეკელიძის,** „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში, ვახტანგ მეექვსის შესახებ აღნიშნულია: „თავისი სატრფო, ღმერთი, პოეტს წარმოდგენილი ჰყავს ქვეყნიური სატრფოს სახით და ისეთივე შტრიხებით გვისურათებს მას, როგორც ნამდვილს.“[1] ამის დასტურად **კ. კეკელიძეს** მოჰყავს ნაწყვეტი, ვახტანგ მეექვსის შემოქმედებიდან:

„მეცხვარეებთან დავდგები, ვივლი სამთოსა ბარებსა,
ნარგისსა თვალად უყურებ, თმისათვის იისარებსა,
ტანადობისთვის საროსა, ღაწვს ვარდთა მაზიარებსა,
ჭირსა მოვრჩები უმზერი პისა, ზამბახთა დარებსა.“ [2]

ვახტანგ მეექვსის „მაჯამის“ ერთ-ერთ სტროფში, პეიზაჟი წარმოდგენილია, როგორც ესთეტიკური გრძნობის განვითარების საშუალება, რასაც პოეტი გვიხატავს თბილისის ბუნების აღწერისას:

„რა სჯობს მაისში ტფილისსა ვარდი ვარსკვლავებ ესხასა,
მწვანედ ღელავდეს გარშემო, ცას ცვარი მასზე ესხასა.“ [3]

დავით გურამიშვილს, „უკვდავების წყაროს იგავთ ახსნაში“, ღმერთის უზენაესობა პეიზაჟის საშუალებით აქვს გადმოცემული. აქ ვკითხულობთ:

„მას აქებენ ანგელოზნი, ცა, ქვეყანა, ბნელ-ნათელნი,
ზღვა, ხმელეთი, ხე, ბალახნი, მთა, ბორცვი, ტყე, მაღნარ-ველნი,
პირუტყვ მხეცნი, მფრინველ, თევზნი, ვეშაპ, ყოვლნი ქვემძრომელნი,
ცეცხლი, ქარი, წყალი, მიწა, კაცი ცხოვლად პირმეტყველნი.
მზე და მთვარე, ვარსკვლავები, ღრუბელ-ნისლი, ცისარტყელი,
ზამთარ-ზაფხულ, ყინვა, სიცხე, თოვლი, წვიმა მწყუნებთ მრწყველი,
ელვა-ქუხილ, მეხ-ტატანი, ხორშაკ-სეტყვა ხილთ მბერტყველი,-
ყოველი სული აქებდით,-იტყვის წინასწარმეტყველი.“ [4]

წარმოდგენილი მასალებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისევე როგორც ჰაგიოგრაფიულ და კლასიკურ მწერლობაში, პეიზაჟი აქაც წარმოდგენილია სხვადასხვა დატვირთვით, არის ეს ცალკე მდგომი, სიუჟეტის ჩანართი ეპიზოდი, პერსონაჟთა დამახასიათებელი, თუ

[1] კ. კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტომი II, „მეცნიერება“, თბილისი, 1981, გვ.598.
[2] იქვე, გვ.598.
[3] იქვე, გვ.601.
[4] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, „მეცნიერება“, თბილისი, 1999, გვ.383.

ესთეტიკური გრძნობების გამომხატველი. ფაქტია, რომ პეიზაჟი ყველა პერიოდის მწერალთა შემოქმედებაში წარმოდგენილია, როგორც ნაწარმოების კომპოზიციის ნაწილი და თავისი ფუნქცია გააჩნია.

§2. პეიზაჟის მხატვრული დატვირთვა რომანტიკულ ლიტერატურაში

XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, ქართულ ლიტერატურაში ყალიბდება ახალი ლიტერატურული მიმართულება „რომანტიზმი". ქართული რომანტიზმი შეიქმნა ლიტერატურული ტრადიციის ფესვებზე, საზოგადოებრივ კულტურული გარემოს იმ პირობებში, როდესაც იმპერიულმა რუსეთის სახელმწიფომ მოახდინა საქართველოს ანექსია. პესიმისტურმა განწყობამ ლიტერატურაზეც იმოქმედა. სამშობლოს თავისუფლების დაკარგვამ, ბედის სიმუხთლემ და დროის წარმავლობამ მუდმივი საფიქრალი და „ობოლი სულის" თავშესაფრის ძიების სურვილი მოუტანა ქართველ მწერლებს. რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი იყო, უიმედობის განცდა, ბედის სიმუხთლით გამოწვეული უკმაყოფილება, მუდმივი სამდურავი, მაგრამ იდეალური სამყაროს ძიებისა და ოდესმე პოვნის დაუოკებელი ჟინიც. ისინი წარმტაცი ფერებით გვიხატავდნენ აწ გარდასულ დროს და, როგორც მკვლევარი **ანდრო ჭილაია** წერს, „რომანტიზმი საღამოსა და ბინდის პოეზიადაა მიჩნეული, რაც ცხოვრების არარაობაზე მიუთითებს." [1]

რომანტიზმს მემკვიდრეობით საკმაოდ მნიშვნელოვანი ტრადიცია გადმოეცა, რაც გამოიხატება ლირიკის სახით. ქართველმა ლირიკოსებმა გამოაცოცხლეს მიძინებული ლიტერატურა და საფუძველი დაუდეს იმ გზას, რასაც შემდგომ რომანტიკოსებმა მისცეს გასაქანი და განვითარების მწვერვალზე აიყვანეს. რომანტიზმის ნიშნები მცირე დოზით, მაგრამ მაინც ჩანს ლირიკოსთა შემოქმედებაში, რამაც ბიძგი მისცა რომანტიკოსებს განვითარებისათვის, მათ კი კარგად აუწყეს ფეხი გადადგმულ ნაბიჯს.

რომანტიკოსები ბუნებაში ეძებდნენ საკუთარი გრძნობების თავშესაფარს. მათთვის ბუნება არცთუ იშვიათად, შთაგონების მთავარი

[1] ა. ჭილაია, „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1971, გვ. 396.

წყარო იყო. „რომანტიკოსთა შემოქმედებაში ზოგჯერ ბუნება ერთ-ერთი წამმართველი მოტივის როლში გვევლინება. ბუნებისადმი დიდი ტრფიალი ნიშანდობლივი თვისებაა რომანტიზმის წარმომადგენლებისათვის.“ [1]

რომანტიკოსებს უსაზღვრო ლტოლვა ახასიათებდათ ბუნების მიმართ. მათ ბუნებისაკენ მისი „მარადიულობა“ იზიდავდათ. ბუნება ხომ ერთადერთია, რომელიც დროს არ ემორჩილება. მწერლები საოცარი ფანტაზიით გადმოსცემდნენ პეიზაჟს და მის იქით არსებულ იდეალურ, ზღაპრულ სამყაროს მიელტვოდნენ. მათ შემოქმედებაში, პეიზაჟი სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მატარებელ კომპოზიციურ კომპონენტს წარმოადგენს. რომანტიკოსებისათვის აწმყო დროში მიმდინარე მოვლენები ფერდაკარგული, წარმავალი და დაბალ საფეხურზე მდგომი იყო. ისინი მიისწრაფოდნენ საკუთარი ფანტაზიით შექმნილი სამყაროსაკენ, რომელიც მარადიულ ცხოვრებას უკავშირდებოდა. მათ წარმოსახვაში შექმნილი იდეალური სამყარო, კონტრასტს ქმნიდა არსებულ რეალობასთან. ის იყო ფერადი ოცნებებით დახატული ქვეყანა, რომელსაც საოცარი ფერებით გადმოგვცემდნენ მწერლები. რომანტიკოსებმა კულტად აქციეს იდუმალება და დახვეწილი პეიზაჟით დაგვანახეს წარსული ნანგრევებისა და ისტორიულ ძეგლებად ქცეულ ციხე-სიმაგრეთა ესთეტიკა. ისინი გაემიჯნნენ ყოფიერ სამყაროს და თავიანთი მარტოობის თავშესაფარს ბუნების წიაღში ეძიებდნენ. მის მშვენიერებაში რომანტიკოსები სულის სიმშვიდეს, საკუთარი მარტოსულობის ნავსაყუდელს ხედავდნენ. „რომანტიკოსებისათვის მიუღებელია ბურჟუაზიული ცივილიზაცია თავისი პრაგმატიზმით. ისინი ცდილობენ ცივილიზაციის ხელოვნურობას განერიდონ და ბუნებას შეაფარონ თავი. ამ თვალსაზრისით რომანტიკოსები ეხმიანებიან სენტიმენტალისტებს. რომანტიკოსებისათვის ბუნება გასულიერებულია, ხშირად გაადამიანებულია. ბუნება და ადამიანი ერთი მთელი შემადგენელი ნაწილები არიან და ერთმანეთის განწყობილება

[1] ა. ჭილაია, „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1971, 400.

კარგად ესმით.“ [1] მათთვის ბუნება ბედნიერებისაკენ მიმავალი გზის საწყისი იყო, გზა სივრცისაკენ, სადაც ოცნებები ფრთებს ისხამენ და ფანტაზიით შექმნილ სამყაროში გადაჰყავთ ადამიანი. „ბუნება, ისევე როგორც რელიგია, ხელოვნება, ეგზოტიკური ქვეყნები და ეროვნული წარსული (ისტორია, ფოლკლორი), საზოგადოებიდან გაქცეული თუ განდევნილი რომანტიკული გმირის თავშესაფარია. აქ დაეძებს იგი იმ იდეალს, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ვერ იპოვა.“ [2]

რომანტიკოსთა შემოქმედების ცენტრში ადამიანი დგას, თუმცა აქ პეიზაჟსაც ვხვდებით, სხვადასხვა დატვირთვის მატარებელ, კომპოზიციის ნაწილად. პეიზაჟი რომანტიკოსებთან ხან ფანტასტიკურ სამყაროს წარმოაჩენს, ხან ეროვნული ინტერესების გამოსახატავად გამოიყენება, ხან კი ადამიანის განუყოფელი მეგობრის ფუნქციის მატარებელია. პეიზაჟი მათ შემოქმედებაში ამძაფრებს სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, ზოგ შემთხვევაში ფილოსოფიური განსჯისათვის უბიძგებს პოეტს, რითაც რომანტიკოსები წუთისოფლის რაობაზე, დროის წარმავლობასა და ადამიანის ამქვეყნიურ მისიაზე ამახვილებენ ყურადღებას. „ბუნება რომანტიკოსი გმირის მესაიდუმლეა, რომანტიკოსებმა ბუნება აამაღლეს ადამიანის ფიქრთა სიმაღლეზე.“ [3]

რომანტიკოსებმა ბუნება ახლებურად წარმოაჩინეს. გაასულიერეს და ადამიანთან დააახლოეს. როგორც **კახა ჯამბურიასა** და **კახა კაციტაძის** წერილში, (კრებულიდან „ქართულ რომანტიზმი“) ვკითხულობთ: „რომანტიკოსთა მიხედვით, ბუნება არ შეიძლება გავიგოთ, როგორც მკვდარი რამ. იგი სხვა არაფერია, თუ არა მთვლემარე მდგომარეობაში მყოფი სული.“[4]

---

[1] ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბილისი, 2008, გვ.203.

[2] ქართველი მწერლები სკოლაში, ტომი I, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, გვ. 9.

[3] ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბილისი, 2008, გვ.27.

[4] კ. ჯამბურია, კ. კაციტაძე, „რომანტიზმის ისტორიულ კულტურული კონტექსტი“, კრებულიდან „ქართული რომანტიზმი-ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები“, თბილისი, 2012, გვ. 15.

რომანტიკოსების მიერ ბუნების აღქმა, გარკვეულწილად, ემყარებოდა იმ პერიოდის მეცნიერულ აღმოჩენებს ფიზიკასა და ქიმიაში. რომანტიკოსი პოეტები ბუნების საშუალებით ცდილობდნენ საკუთარი „მე“-ს შეცნობას. „რომანტიკოსების თანახმად ბუნების განვითარება გვირგვინდება ადამიანური „მე“-ს გაჩენით. ადამიანურ „მე“-ში ხდება იმ პროცესების გაცნობიერება, რომელიც ბუნებაში არაცნობიერი სახით მიმდინარეობს.“ [1]

რომანტიკოს **ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის,** ბუნება უბრალო დეკორაციის როლს ასრულებდა. მისთვის ბუნება არ წარმოადგენდა მყუდრო თავშესაფარს, სადაც სულის სიმშვიდეს მოიპოვებდა, ისე როგორც ეს ხდება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემთხვევაში. მკვლევარი **კიტა აბაშიძე,** წერს: „იგი ბუნებაში არც სანუგეშოს რასმე ხედავს, როგორც ბარათაშვილი, არც მტრობითა და შურით აღსავსეობას ამჩნევს, იგი მას გულგრილ და გულცივ უტყვ ქმნილებად მიაჩნია. ბუნება ასეთ თუ ისეთ შთაბეჭდილებას იწვევს პოეტში, იმის მიხედვით, თუ თვით რა განწყობილებაზეა.“ [2]

ალ. ჭავჭავაძისათვის ბუნება არ არის იმედის მომცემი ძალის მატარებელი, ამიტომ მის პოეზიაში, პეიზაჟი ზოგადი, პირობითი შტრიხებით არის წარმოდგენილი. მასში ბუნება მხოლოდ დამხმარე მასალის როლს ასრულებს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი შემოქმედებაში არსებობს ისეთი ლექსებიც, სადაც ბუნება პოეტის წარმოსახვის მთავარ საგნად და ფილოსოფიური განსჯისათვის მიმავალი ერთადერთი წყაროა, ასეთებია ლექსები „კავკასია“ და „გოგჩა“. მის ფილოსოფიურ ნააზრევში კი, ჩანს, რომ პოეტის სევდა უმაღლეს მწვერვალს აღწევს, მაშინ, როდესაც ფიქრობს წარსულ დიდებაზე აწმყოში მიმდინარე ბედის უკუღმართობა მოსვენებას უკარგავს.

სულ სხვანაირად წარმოჩინდა პეიზაჟი გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში. პოეტისათვის ბუნება მანუგეშებელ, თანამგრძნობელ მეგობარს ჰგავს. თითქოს ბუნება სულიერია და განიცდის პოეტის

---

[1] იქვე. გვ. 16.

[2] კ. აბაშიძე, „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 37.

მწუხარებასა და სიხარულს. ესმის მისი გულისნადები და ცდილობს თავისი სიმშვენიერით ანუგეშოს. როგორც მკვლევარი **კიტა აბაშიძე** აღნიშნავს: „ გრ. ორბელიანის დამსახურება ის არის, რომ როგორც რუსომ, ბერნანდენ-სენპიერმა საფრანგეთის ლიტერატურაში, ისე მან პირველად შემოიტანა ქართულ სალირიკო ლექსებში ბუნების აღწერილობა და, ვიტყვი, უაზრო აღწერილობა კი არა, პირველად მან გამოთქვა აზრი კაცზე ბუნების ზეგავლენის შესახებ, ბუნებასა და კაცთა შორის არსებული დამოკიდებულების შესახებ.“ [1]

გრიგოლ ორბელიანმა, თავის პოეზიით, ბუნებას სული შთაბერა და თავისებურად აამეტყველა. მის შემოქმედებაში ნათლად ჩანს, რომ ბუნების მშვენიერების ზედმიწევნით, სრულყოფილი სახით გადმოცემა შეუძლებელია, რადგან მისი სიმშვენიერე ამოუწურავია. პოეტმა ბუნების აღტაცებით გამოწვეული შთაბეჭდილებები მთელი სიცხადით გადმოსცა სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“. მასში ბუნების სიფაქიზე მაღალი პოეტური გრძნობითაა გადმოცემული. მკვლევარი **აპოლონ მახარაძე** („ქართული რომანტიზმი“), აღნიშნავს, რომ: „ გრიგოლ ორბელიანისათვის ბუნების „ფერუთვალავი შვენება“ შთაგონების წყაროა, მაგრამ ჯერ კიდევ მიუწვდომელი და საოცნებო.“ [2]

რაც შეეხება **ნიკოლოზ ბარათაშვილს,** მისი შემოქმედების გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი პეიზაჟის უბადლო მხატვარი იყო. პოეტი სხვაგვარად, მთელი არსებით შეიგრძნობდა ბუნების ჯადოსნურ ხიბლს. მისთვის ბუნება მარტოობაში ნატანჯი სულის ნავსაყუდელი იყო, რაც სპეციფიკურად დაკავშირებული იყო ზოგადად რომანტიზმის იდეოლოგიასთან. ბუნება და ბარათაშვილი უხილავი ძაფებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ისინი ერთმანეთს ავსებდნენ, ერთმანეთის სიხარული აბედნიერებდათ და ტკივილი

[1] კ. აბაშიძე, „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 53
[2] ა. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1967, გვ. 345.

მწუხარებით ავსებდათ. მკვლევარ **კიტა აბაშიძე** წერს, რომ: „ასეთი ურთიერთობა ბუნებასა და კაცს შორის ძვირად თუ რომელსამე პოეტს შეეგნოს და წარმოედგინოს, ასეთი განკაცება, განხორციელება, გასულიერება ბუნებისა, იშვიათად შეგვხვდება ლიტერატურაში.“ [1]

ბარათაშვილის შემოქმედებაში, ბუნება ცოცხლად განიცდის ადამიანურ გრძნობებს და პოეტთან ერთად ხან იცინის, ხანაც მწუხარებას მოუცავს. ბრწყინავს, როცა პოეტს სიმშვიდე და იმედი ეუფლება და მოღრუბლულია, როცა პოეტს დეპრესია ერევა. პოეტმა ბუნება ადამიანურ გრძნობებს აზიარა. **აპოლონ მახარაძე**, აღნიშნავს: „ნიკოლოზ ბარათაშვილმა ბუნებას გაუგო ის, რაც სხვა რომანტიკოსებისათვის მიუწვდომელი ოცნების საგნად რჩებოდა. მან ბუნებაში გადაიტანა ადამიანთა განცდები და უდროობის კაცის გულისთქმა უსულო ბუნებაშიც ამოიკითხა.“ [2]

რომანტიკოს ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში ბუნების მიმართ დამოკიდებულება ისეთი მძაფრი არ არის, როგორც სხვა პოეტებთან, თუმცა ყურადღების მიღმა მისი დატოვება მცდარი იქნება. ბუნებას ვახტანგ ორბელიანი ბედისაგან დაჩაგრული ადამიანის ნუგეშად სახავს. ადამიანისა, რომელმაც ამ ცხოვრებაში ბედნიერი დღეები ვერ იპოვა და თავისი მდგომარეობის შემსუბუქების მთავარ ადგილად ბუნება მიაჩნია, იქ ეძიებს ჯერ არ განცდილ ბედნიერებას. პოეტისათვის ბუნების გარეგან მიმზიდველობას ნაკლები ფასი ჰქონდა. მისთვის მთავარი იყო ისტორიული სინამდვილის გამომხატველი შტრიხები, როგორც მკვლევარი **კიტა აბაშიძე** წერს, „ბუნებისათვის ამგვარი ისტორიული მნიშვნელობის მიცემა ჩვეულებრივია რომანტიკოსთა პოეზიაში, მაგრამ აქ ის აზრია საინტერესო, რომ ბუნებაში არაფერი არ აინტერესებს ავტორს გარდა იმის ისტორიული მნიშვნელობისა.“ [3]

---

[1] კ. აბაშიძე, „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 74.
[2] ა. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1967, გვ. 346.
[3] კ. აბაშიძე, „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 103.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ ორბელიანს ბუნების შინაგანი თვისება უფრო იზიდავდა, მაინც საოცრად ლამაზი ფერადოვნებთ გვიხატავს ჩვენი სამშობლოს პეიზაჟს. როგორც **აპოლონ მახარაძის** წერს, „ვახტანგ ორბელიანის მიერ საქართველო თავისი წარმტაცი ბუნებით ზღაპრულ ედემთან არის შედარებული.“ [1]

ვახტანგ ორბელიანი ბუნებაში დასნეულებული სულის განკურნებას ხედავდა. მის პოეზიაში ბუნება ისეთი მეგობარია, სულის ყველაზე შორ კუნჭულში შენახულ საიდუმლოს რომ გაანდობ და მისგან თანადგომასა და გაგებას ელი, ისიც რომ არ აყოვნებს და თავისი გარეგანი თუ შინაგანი სილამაზით შეიგრძნობს შენ დარდსა და ვარამს. ვახტანგ ორბელიანის მიერ წარმოდგენილი პეიზაჟი უფრო მეტად მაინც წარსული დიდების დაკარგვაზე დარდის განცდას გვიტოვებს, სადაც ისტორიულ ნიუანსებზეა ყურადღება გადატანილი. ვახტანგ ორბელიანმა, ასე ვთქვათ, ამოწურა ქართული რომანტიზმი, ლიტერატურა ამ დროისათვის უკვე გადადის რეალიზმის რელსებზე.

რომანტიკოსები სენტიმენტალისტების მსგავსად ცდილობდნენ სამყაროში არსებული აწმყოსაგან გაქცეულიყვნენ და ბუნების წიაღში დაეძებდნენ სიმშვიდესა და ნეტარებას. თუმცა ეს ორი მიმართულება ერთმანეთისაგან იმითაც განსხვავდება, რომ რომანტიზმში უბრალო ცხოვრებას ენაცვლება მგზნებარე სრბოლა ახალი, ბედნიერი სამყაროს აღმოსაჩენად. ველ-მინდვრების ნაცვლად გვხვდება აღელვებული ზღვა და ცად აზიდული მთები. რომანტიკოსებთან პეიზაჟი სუნთქავს, საუბრობს და გრძნობს, ხშირად პერსონიფიცირებულია „ტრადიციული რომანტიკული პეიზაჟი ძალიან განსხვავდება სენტიმენტალურისაგან: სოფლის იდილიურ სურათების, მინდვრებისა და მდელოების ნაცვლად ჩნდება მთები და ზღვა, ჰორიზონტალს ვერტიკალი ენაცვლება. რომანტიკულ პოეზიაში

[1] ა. მახარაძე, „ქართული რომანტიზმი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1967, გვ. 274.

ქარიშხალსა და ჭექა-ქუხილს მოძრაობაში მოჰყავს გარემო, ასეთი პეიზაჟი, შეესატყვისება რომანტიკული გმირის მგზნებარე ბუნებას.“[1]

ამდენად, როგორც ზემოთ წარმოდგენილი ნააზრევიდან ჩანს, რომანტიკოსების პეიზაჟი, ზოგან თუ მხოლოდ მოქმედების უბრალო ფონს წარმოადგენდა, ხშირ შემთხვევაში მას ესთეტიკური გრძნობის გადმოცემის ფუნქციური დანიშნულება აქვს, რომელიც საკუთარ თავში ჩასაღრმავებლად საუკეთესო საშუალებაა ადამიანისათვის. რომანტიკოსების პეიზაჟი ამძაფრებს პატრიოტულ გრძნობასაც, ადამიანივით გვესაუბრება და გადავყავართ ფანტასტიკურ სამყაროში. რომანტიზმში პეიზაჟი წარმოდგენილია, როგორც ჩანართი ეპიზოდის სახით, ისე ცალკე მდგომ ლიტერატურულ კომპოზიციის ნაწილად. რომანტიკულ პოეზიაში ვხვდებით ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის, სრულიად განსხვავებულ, განსაკუთრებულ მოდელს, რომელშიც ცოცხალი და არაცოცხალი მატერია ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთის გრძნობას განიცდის.

§3. პეიზაჟის სპეციფიკური თავისებურებანი რეალისტურ მწერლობაში (რომანტიზმის მხატვრულ თავისებურებებთან შედარებით)

რომანტიკოსი პოეტების შემოქმედებაში ნათლად გამოჩნდა წინა პლანზე წამოწეული პირადი გრძნობები. მათ საფუძველი დაუდეს მხატვრულ ფანტაზიას, იდუმალი სამყაროს ძიების პროცესს. რომანტიკოსი პოეტები მთელი გრძნობით გადმოსცემდნენ პირად განცდებს, გააჩნდათ მუდმივი უკმაყოფილება არსებული ეპოქის მიმართ, მისტიროდნენ წარსულს, ეძებდნენ მათთვის მისაღებ ადგილს და ხშირ შემთხვევაში „ნირვანისათვის“, სულის სიმშვიდის მოპოვებისა და მარტოსულობის დასაძლევად ასეთ ადგილად ბუნება ევლინებოდათ. მათთვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენდა პეიზაჟი მთელი თავისი სილამაზით. პოეტები ცდილობდნენ ბუნების გასულიერებას ფარული შტრიხებით.

[1] ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბილისი, 2008, გვ.204.

რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი იყო რეალური სამყაროს ტრანსფორმაციის უნარი. მათთვის არსებული რეალობა მომაბეზრებელი იყო, რის გამოც იშველიებდნენ ფანტაზიას და ზღაპრული სამყაროსაკენ მიისწრაფოდნენ, საითაც ბარათაშვილს თავისი მგზნებარე მერანი მიაქროლებდა.

XIX საუკუნის 40-50 იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ჩნდება ახალი მიმართულება-რეალიზმი. იგი მიზნად ისახავდა არსებული სინამდვილის ობიექტურად გამოსახვას. 60-იანი წლებიდან განვითარებული კრიტიკული რეალიზმი კი, სინამდვილეს ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადმოსცემდა. ამ მხრივ რეალისტი მწერლები მკვეთრად განსხვავდებოდნენ რომანტიკოსებისაგან, რომლებიც ფანტაზიასა და არარსებული სამყაროს ნიუანსებს იყენებდნენ მოსაწყენი რეალობის დასავიწყებლად. რეალისტები სინამდვილიდან აღებულ მაგალითებზე აგებდნენ თავიანთ შემოქმედებას. ეს არის ის ძირითადი განმასხვავებელი თავისებურება, რაც ამ ორ ლიტერატურულ მიმართულებას ერთმანეთისაგან მიჯნავს პეიზაჟის გამოყენების თვალსაზრისით და თუ რომანტიკოსებთან პეიზაჟი ძირითადად ლირიკასა თუ პოემებში გვხვდება, რეალისტებთან იგი მოიცავს თითქმის ყველა ჟანრს პოეზიისა და პროზისა.

რეალისტი მწერლებისათვის მთავარი მამოძრავებელი წყარო იყო ისტორია და სოციალური საკითხი. როგორც მკვლევარი **მიხეილ ზანდუკელი** აღნიშნავს: „რეალისტებმა უარყვეს რომანტიკოსი პოეტის აღმაფრენის ყოველშემძლეობა, დაუდგრომელი და დაუმორჩილებელი ილუზიებისა და შემოქმედების უსაზღვრო თავისუფლების კანონები, აბსტრაქტული, განყენებული სახეები, სამაგიეროდ წამოაყენეს ცხოვრების, ყოველდღიური ცხოვრების, სინამდვილის გამოკვლევა, შესწავლა, მისი მხატვრული გაშლა და ასახვა. ამ გზით ამოკრეფილ მასალას რეალისტი

მწერლები შემოქმედებით ლაბორატორიაში ამუშავებდნენ იმ მეთოდებით, რომლებითაც ამ დროს ბუნებისმეტყველება სარგებლობდა.“ [1]

თუ რომანტიკოსები წარსულს მისტიროდნენ და ოცნებებში წარმოდგენილ სამყაროში ცხოვრობდნენ, რეალისტები ადამიანის ცხოვრებას ობიექტურად აფასებდნენ და ნამდვილ ფაქტებს გადმოსცემდნენ. როგორც კრიტიკოსი **კიტა აბაშიძე** აღნიშნავს, „რეალიზმის უმთავრესი პრინციპია ბუნებისა და ადამიანის ცხოვრების მოვლენათა სინამდვილით გამოხატვა. მწერალმა ის უნდა გვაჩვენოს, რასაც ადგილი აქვს ბუნებასა და ცხოვრებაში. ისე დაგვანახოს ესა თუ ის მოვლენა, როგორც იგი მოხდება ხოლმე და არა ისე, როგორც მწერალს ეჩვენება.“ [2] ამ შემთხვევაში პეიზაჟი რეალისტებთან უფრო მეტად ფონია ან ავტორის, ლირიკული გმირის ძირითადი მსოფლმხედველობის გამოხატულებაა. თუმცა აქ მაინც მნიშვნელოვანია მათი იდეოლოგიიდან გამომდინარე, თემის გაშლაში მონაწილეობა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბებულმა კრიტიკულმა რეალიზმმა ყველაზე ობიექტურად ასახა ეროვნული სინამდვილე და ქართველი ხალხის სურვილი თავისუფლების დაბრუნებისა. ამ პერიოდში ლიტერატურა მიძინებული ხალხის გამოცოცხლების მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა. რეალიზმი ეფუძნებოდა ფილოსოფიურ მოძღვრებას, რომ ბუნებაში წინასწარ არის ყველაფერი დაგეგმილი, და რაც დადგენილია, მას ვერ გაექცევი. მკვლევარ **კიტა აბაშიძეს** წარმოდგენილი აქვს მოსაზრება, რომ: „რეალიზმს თავისი ფილოსოფიური მოძღვრებაც აქვს. ეს მოძღვრება აღიარებს, რომ ბუნებაში ყოველივე განსაზღვრულია და წინადვე გარკვეული. ადამიანი არის ერთი ნაწილი ბუნებისა, რომლის სურვილი, მოქმედება, აზრი და გრძნობა ექვემდებარება ბუნების მოვლენათა ზეგავლენას. კაცი არის მონა ბუნებისა და არა მისი უფალი. კაცის სულიერ მოძრაობას თავისი დასაბამი და დასასრული მის სხეულში აქვს. ეგ სხეული

[1] მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტომი II, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 60.
[2] კ. აბაშიძე, „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 110.

კი ისეთი ყურმოჭრილი ყმაა ბუნების კანონებისა, როგორც ქვა, ხე და პირუტყვი.“[1] აქ აშკარად იგრძნობა ცნობილი ფრანგი კრიტიკოსის ბრუნეტიერის შეხედულებების გავლენა, რასაც უმეტესწილად, ემყარება კიტა აბაშიძე, შესასწავლი ქართველი მწერლების შემოქმედების განხილვისას.[2]

ქართული კრიტიკული რეალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძე კი, განიხილავს რა, წინამორბედ რომანტიკოსთა შემოქმედებას, თავის „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“, დახასიათებას აძლევს ქართველ რომანტიკოს პოეტებს: ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება განსხვავებულია სხვა რომანტიკოსთა პოეზიისაგან, რადგან მასში მხოლოდ საკუთარი სულის გამოძახილი კი არა, საკაცობრიო პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაც ჩანს. „იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა.“[3] თუ ამ მოსაზრებას გავითვალისწინებთ, ჩანს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება მცირედ, მაგრამ მაინც შეიცავს ნიუანსებით რეალიზმის ელემენტებს. რომანტიზმსა და რეალიზმს ენის ფორმაც განასხვავებდა ერთმანეთისაგან. რეალისტებმა თავიანთი შემოქმედებითი ენა ხალხის სასაუბრო ენასთან მაქსიმალურად დააახლოვეს. **კიტა აბაშიძე** აღნიშნავს, რომ: „რომანტიკოსთა აჭრელებული ენა და რეალისტთა სადა ენა, ხალხური კილო სხვადასხვაობდნენ.“[4]

---

[1] კ. აბაშიძე, „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 110.
[2] იხ. იქვე, გვ,07.
[3] ი. ჭავჭავაძე, წერილები ლიტერატურაზე, პუბლიცისტური წერილები, „ნაკადული“, თბილისი, 1987, გვ. 71-72.
[4] კ. აბაშიძე, „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 111-112.

კრიტიკულ რეალიზმში მთელი სიცხადით აისახა პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, სოციალური, ჩაგვრის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის იდეები, რაც შემოქმედებითად განავითარეს და სრულყვეს ქართველმა რეალისტებმა. 60-იანელებმა წინ წამოსწიეს ესთეტიკისა და მატერიალისტური ფილოსოფიის პრინციპი. ისინი, რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, ოცნებაში წარმოსახულ სამყაროს კი არ ეძებდნენ, არამედ რეალურ ცხოვრებაში ეძიებდნენ ხსნის ძალას და ხალხის ბედნიერებაზე ფიქრობდნენ.

როგორც კრიტიკოსი **კიტა აბაშიძე** წერს: „რომანტიზმი პოეტის პირად გრძნობათა გამომსახველი იყო, მისი კერძო, სულიერი ტანჯვის გამომქვეყნებელი. რომანტიკოსი პოეტი ჰგოდებდა სატრფოსაგან გაწამებას, სიკვდილზედ ფიქრისაგან გამოწვეულ სევდებს გვაგონებდა და, თუ მისი სასოწარკვეთილება უკიდურესობამდე არ იყო მისული, ბუნებაში მაინც ჰხედავდა „თვისთა ფიქრთ შვებას გულის სევდის ნუგეშად“; ხოლო უსასოება რომანტიკოს-პოეტისა ხანდისხან იქამდეც მიდიოდა, რომ ბუნებასაც მარტო მაცდურებასა და გულ-ქვაობას ამჩნევდა.

რეალიზმი, როგორც რომანტიზმის უარმყოფელი მიმართულება, პირად გრძნობათა გამოსახვას განაძევებს ლიტერატურიდან და სხვისი სულის მდგომარეობის დასურათებას ცდილობს, სხვის ვაების ხმას გვაგონებს. არა სატრფოს ღალატი, არამედ საზოგადო მწუხარება და ერის კვნესა იწვევს რეალისტ-პოეტის სევდას და ოხვრას, ერის უბედურება უკლავს გულს და უშხამავს სიცოცხლეს.“ [1]

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ რომანტიკოსებისათვის წარსული დიდება იყო მთავარი წყარო, მისტიროდნენ აწ გარდასულ დროს, ნანგრევებად ქცეულ ციხე-კოშკებს, არ აკმაყოფილებდათ აწმყო და ცდილობდნენ საკუთარი ფანტაზიით შექმნილ იდეალურ ქვეყანაში მოხვედრილიყვნენ, 60-იანელები ეყრდნობოდნენ ისტორიასაც, მაგრამ მათთვის მთლიანი საზოგადოების ბედნიერება იყო მთავარი და არა

[1] იქვე, გვ. 148-149.

მხოლოდ პირადი გრძნობების გადმოცემა. რომანტიზმი ხშირ შემთხვევაში გამოგონილ მასალას იყენებდა. რეალისტებისათვის სინამდვილის გაანალიზება და ახალი, ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის ყიჟინა იყო მთავარი. ისინი ცდილობდნენ დაუფარავად გადმოეცათ რეალობაში არსებული მანკიერებები და მათი აღმოფხვრის გზებს ეძიებდნენ.

ამდენად, ქართველი რეალისტი მწერლებისათვის მისაღები აღმოჩნდა რომანტიკულ ლიტერატურიდან გადმოსული პატრიოტული გულისტკივილი, თუმცა ამას სხვა დატვირთვა-გაშლა მისცეს თავიანთ შემოქმედებაში. იგივე შეიძლება ითქვას პეიზაჟის გამოყენების თვალსაზრისით, რაზედაც მომდევნო თავში გვექნება საუბარი.

თავი II. პეიზაჟი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

§1. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია ილია ჭავჭავაძის ლირიკაში

ქართული ლიტერატურის ისტორიაში, საკმაოდ, მნიშვნელოვანია მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების მწერლობა. ქართველმა 60-

იანელებმა, ლიტერატურა, განვითარების სრულიად განსხვავებულ გზაზე დააყენეს. ამ თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვ. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ სწორედ ამ სამი მწერლის შემოქმედებაზე გავამახვილებთ ყურადღებას და განვიხილავთ, თუ რა მხატვრული დატვირთვით გამოიყენება პეიზაჟი პოეზიაში, პოემებსა თუ პროზაში. სანამ უშუალოდ საკვლევ საკითხს შევეხებოდეთ, მცირე მასშტაბით მიმოვიხილოთ, თუ რა იყო დამახასიათებელი ამ პერიოდის ქართული ლიტერატურისათვის.

XIX საუკუნის 60-იანი წლები, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით, ისე საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების მხრივ. დაიწყო ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის კრიზისი, გაუქმდა მჩაგვრელი ბატონყმობა და ცხოვრება ახალ რელსებზე გადავიდა. მიმდინარე პროცესებმა ეროვნული ენერგიის გამოვლენა ჰპოვა ლიტერატურაშიც. ქართველი 60-იანელები, მწერლობის იარაღით აღჭურვილნი, სათავეში ჩაუდგნენ საზოგადოებას და თავდაუზოგავად ცდილობდნენ ახალი გზით წარემართათ ხალხის ცხოვრება. მათმა მოღვაწეობამ ახალი იდეები შემოიტანა, როგორც ლიტერატურაში, ისე კულტურის სხვადასხვა დარგში და საფუძველი დაუდო ცხოვრების პროგრესულ განვითარებას.

ქართული ლიტერატურა XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოხატავდა ხალხის ცხოვრების სასიცოცხლო ინტერესებს. მწერლებმა ლიტერატურა, თავისი შინაარსითა და ენით ყველაზე ახლოს მიიტანეს ხალხთან და განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანეს. ამ პერიოდში ჩამოყალიბებული კრიტიკული რეალიზმი ნათლად გამოხატავდა იმ პერიოდის საქართველოში მიმდინარე ეროვნულ რეალობას, უბრალო ადამიანების მებრძოლ სულს, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის უშრეტ სურვილს და ნათელი მომავლის იმედს. რეალისტური ლიტერატურის წამყვან თემას ხალხი წარმოადგენდა, თვისი ცხოვრების ყოველდღიურობით, თუ საზოგადო ინტერესით. ქართველი მწერლები თავიანთი შემოქმედებით

ცდილობდნენ ეროვნულ-სოციალური ინტერესის გაღვივებას ხალხში და ქვეყნის ბედ-იღბალზე წუხდნენ.

ქართველ სამოციანელთა შემოქმედების განხილვას, ჩვენი საკვლევი საკითხის კუთხით, **ილია ჭავჭავაძის** (1837-1907 წწ) შემოქმედებითი მემკვიდრეობის განხილვით დავიწყებთ. საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი იყო მისი მოღვაწეობის სფერო და პოეტური მემკვიდრეობა. მისი მხატვრული შემოქმედების ძირითადი მოტივი ეროვნული ინტერესები იყო. ილია თავისი პოეტური ქმნილებებით უპირისპირდებოდა ცარიზმის დამპყრობლურ პოლიტიკას და მოუწოდებდა ქართველ ერს გამორკვეულიყვნენ ხანგრძლივი ძილიდან. სამშობლოს მძიმე მდგომარეობაში ყოფნის ტკივილი პოეტმა გამოხატა, როგორც ლირიკაში, ისე პოემებსა და მოთხრობებში. ილიას შემოქმედებაში, გვხვდება პეიზაჟი, როგორც მხატვრული გამოხატვის ერთ-ერთი ხერხი. პეიზაჟი, ილიას ნაწერებში, სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვით წარმოჩინდება. სავარაუდოდ ილიამ აიღო ის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც აწუხებდა დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოს და პატრიოტიზმი, თუმცა იგი გააძლიერა პეიზაჟის ჩვენება და, ბუნების სურათების წარმოჩენისას, მას სხვა ფუნქცია დააკისრა.

თუმცა ილია მარტო ლირიკაში არ ავითარებს ამ თემას, რამდენადაც სწორხაზოვანია მისი იდეური მრწამსი, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია ერმა წარსულიდან გამომდინარე აღიდგინოს თავისი ღირსება და იბრძოლოს თავისუფლებისათვის. როგორც მკვლევარი ლადო მინაშვილი აღნიშნავს: „მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე ილია ერთგული დარჩა ამ პოზიციისა. ილიას თხზულებების ერთი დიდი ნაწილი არის დაუფარავი მხილება ჩვენი ნაკლოვანებებისა, ნათქვამი მწარედ, ღელვით და მოურიდებლად, მეორე მხრივ, ილია ეძებდა გზებს ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად.“ [1] ილია მრწამსი მისი შემოქმედების ყველა ჟანრში სწორხაზოვანია, ამდენად პეიზაჟის მხატვრული

[1] ლ. მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, თსუ, 1995, თბილისი, გვ. 62.

დატვირთვაც ძირითადად ემსახურება ბუნებასთან შენივთებულ ღრმა გულისტკივილის აღმოფხვრას. ეს კარგად მოჩანს მის ლექსში ელეგია. ამ ლექსში პეიზაჟის საშუალებით გადმოცემულია საქართველოს მძიმე მდგომარეობაში ყოფნის ტკივილიც და ერისადმი პოეტის მიმართვაც, რომ გამოიღვიძოს და მომავლისათვის იბრძოლოს.

„მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელ ქვეყანას ზედ დაჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.
არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!..
……..
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“[1]

იგივე ფუნქციით წარმოჩინდება პეიზაჟი ლექსში „გაზაფხული“.

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი,
მეტის ლხენითა სტირის.“[2]

როგორც მკვლევარი **კიტა აბაშიძე,** აღნიშნავს, „ ბუნების აყვავება და განმაცხოველებელი გაზაფხულის სურათი პოეტს ისევ სევდიან, მაგრამ ნაზი საყვედურით აღსავსე გრძნობებს აუშლის და ამგვარივე კითხვით მიმართავს სამშობლოს:

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები…
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“ [3]

ქვეყნის წინაშე საკუთარი მოვალეობის შეგრძნება სწორედ ჭაბუკობაში დაწერილი „ყვარლის მთების“ პეიზაჟის ფონზე იკვეთება ილიას წინაშე პეტერბურგში გამგზავრების წინ.

„მე თრთოლვით ვსჭვრეტდი ლაჟვარდ ცაზე თქვენსა სიმაღლეს

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ.51.
[2] იქვე, გვ.76.
[3] კ. აბაშიძე, ეტიუდები (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან), თსუ, თბილისი, 1962, გვ. 141.

და შევნატროდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს,
სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავდნენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა.“[1]

სამართლიანად შენიშნავს კიტა აბაშიძე: „ილია ჭავჭავაძე სამშობლოს ტრფიალია და ამ სიყვარულს ამბობს, როგორც საკუთარი სულის ტკივილს. ჯერ ისევ ოცი წლის ახალგაზრდა, რუსეთში გამგზავრების წინ, აჩქროლდება ყვარლის მთების შემხედვარე და განშორების მელანქოლიით ამბობს: „სამშობლოს მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა-ო“. მაგრამ ეს მთები უბრალო გეოგრაფიული ნიშანი კი არ არის, არამედ მისი პატრიოტული განცდების შესაკრები პუნქტია, საქართველოს ერთგვარი სიმბოლო.“ [2]

საქართველოზე მოუშორებელი ფიქრსა და მისი მონატრებას გადმოგვცემს პეიზაჟის საშუალებით ილია ლექსში „უცხოეთში“. უცხო ქვეყნის ცის ჭვრეტა უორმაგებს პოეტს სამშობლოს სიყვარულს და მონატრების გრძნობას და მშობლიური ზეცის შეუდარებელ სილამაზეს ახსენებს. ილიას სევდა იპყრობს სამშობლოსაგან შორს ყოფნის გამო და წერს:

„მისთვის ხომ არა, რომ ვსჭვრეტ სხვა ზეცას,
სხვათა უფერულთ ვარსკვლავთა დენას?
თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა
ეგრეთ დამცქერდა სამშობლოს ზეცა...“[3]

პეიზაჟის საშუალებითაა გადმოცემული ,ქვეყნის ბედზე ფიქრი და ჭმუნვა, ილია ჭავჭავაძეს ლექსში „კითხვა-პასუხი“. აქ საქართველო სამოთხის სახით წარმოგვიდგება, რომელსაც „შვილების“ ურთიერთმტრობა და შუღლი ანადგურებს.

სამშობლოს დამონებული მდგომარეობა, გულს უკლავდა პროგრესულად მოაზროვნე პოეტს და თავისი შემოქმედების საშუალებით ცდილობდა პატრიოტული გრძნობა გაეღვივებინა ქართველ ერში. სწორედ

1ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977,გვ.9.
[2] კ. აბაშიძე, ეტიუდები (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან), თსუ, თბილისი, 1962, გვ. 356.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ.27.

ქვეყნის ბედსა და უკეთესი მომავლის რწმენას ეხმიანება ლექსი „ბაზალეთის ტბა“, სადაც პეიზაჟით საქართველოს ისტორიული წარსულიც არის გადმოცემული, მისი დამონებული ყოფაც და უკეთესი მომავლის იმედიც. ბაზალეთის ტბის წყალქვეშა კომპოზიციით სამშობლოს დროებით მიძინებული ბედ-იღბალია გადმოცემული.

„ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო.
მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს თურმე არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება...“[1]

როგორც მკვლევარი **ლადო მინაშვილი** აღნიშნავს, უცხო წალკოტის აღწერისას იგი თითქოს ლეგენდურ ფორმას მიმართავს,[2] ამდენად პეიზაჟში გამოყენებული მხატვრული ხერხები აძლიერებს ილიას პოზიციას ხალხის მომავალი დედის სამომავლოდ წარმოსადგენად. „ინტელექტუალიზირებას აქ უკვე ის ფაქტი განაპირობებს, რომ პოეტის პატრიოტული განცდა ლექსში ლეგენდურ ფორმაშია გახვეული… „მთელი ქართველი ხალხის იდეალებია მხატვრულად განსახიერებული.“[3]

„ერისაგან შობილი, ერის გაზრდილი და ერის მხსნელი გმირი საუკუნეების მანძილზე ეზმანებოდა კირთების ქვეშ მოქცეულ ქართველ ხალხს და ბაზალეთის ტბის მშვენიერი ლეგენდაც მისი ხანგრძლივი ოცნების ცოცხალი გამომხატველი იყო.“ [4]-წერს გიორგი ჯიბლაძე.

პეიზაჟს ვხვდებით ასევე ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ჟანრის ლექსებში, მაგალითად ლექსი „ხმა გულისა“ ავტორი ბუნების სურათის მეშვეობით ეხმიანება სიყვარულს და მისგან გამოწვეულ შეცვლილ გულის ცემას. აქ გმირის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს პეიზაჟი.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ.106.
[2] იხ. ლ. მინაშვილი, ი. ჭავჭავაძე, თსუ, 1995, გვ. 180.
[3] იქვე
[4] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი IV, გ. ჯიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე“, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1974, გვ. 53.

„ჩუმ მაღნარშია წამოწოლილი
ვიყავ, ზედ მედგა ხის უხვი ჩრდილი,
და საიდღამაც ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული“.[1]

დროის სწრაფ წარმავლობას და წარსულში დარჩენილ სასიამოვნო მოგონებების გამოხატვას ემსახურება პეიზაჟი ლექსში „ალაზანს“. აქ მოცემულია პოეტის გაბაასება მდინარესთან, ილია წუხს იმის გამო, რომ სასიამოვნო დღეები სწრაფად სრულდება, ბედკრული ხსოვნა კი არ ქრება.

ამდენად, აშკარა ხდება ის ფაქტი, რომ რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, რეალისტ ილია ჭავჭავაძის ლირიკაში პეიზაჟი არ არის უბრალო ჩართული ეპიზოდი, ან ხელის შემწყობი მისი სევდიანი ფიქრების გასართველად. პეიზაჟის ფუნქცია ექვემდებარება ავტორის ძირითად მიზანს: გამოაღვიძოს დაძინებული ერი, რათა ის ხელახლა აყვავდეს, შეასრულოს მასზე დაკისრებული მამულიშვილური მოვალეობა და ეხმიანებოდეს არა პირადი, არამედ საზოგადო წუხილით ატკივებულ გულის ხმაურს.

ამდენად ილიას ლირიკაში გამოიკვეთა, რომ პეიზაჟი იმდენადაა გამოყენებული, რამდენადაც იგი შეესატყვისება მგზნებარე მამულიშვილის სულიერ განწყობილებას.

§2. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია ილია ჭავჭავაძის პოემებში

როგორც მკვლევარი ლადო მინაშვილი აღნიშნავს: „ეპიკური პოეზია მეტად მნიშვნელოვანი უბანია ილია ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობისა.“ [2]-წერს მკვლევარი ლ. მინაშვილი და, მართლაც, სწორედ პოემებმა დაუმკვიდრეს ილია ჭავჭავაძეს მხატვრული სიტყვის ოსტატის სახელი.

ილიას კალამს სულ ხუთი პოემა ეკუთვნის. პეიზაჟის ფუნქციის შესწავლის თვალსაზრისით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია: „აჩრდილი“ (1859 წ.

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ.44.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ. 206.

ბოლო რედაქცია 1872 წ.), „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ (1860 წ.) და „განდეგილი“ (1883 წ.).

მხატვრულ ნაწარმოებებში ილია სრულად იყენებს პეიზაჟსაც, მთავარი აზრის, იდეის გამოსახატავად. მარტივსიუჟეტიან პოემაში „აჩრდილი“ ძირითად გამოხატულია ილიას სოციალური და ეროვნული პრობლემატიკა. პოემაში წარმოგვიდგება პოეტის საუბარი მყინვარზე მდგომ მოხუცებულთან, რომელიც საქართველოს უკვდავ სულს განასახიერებს. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომელზედაც ამახვილებს ყურადღებას მკვლევარი **ლ. მინაშვილი,** რომ მოგვიანებით „მგზავრის წერილებში“ გაფართოებული სურათი მყინვარისა და თერგისა, სწორედ „აჩრდილის“ პირველ ვარიანტშია ნაჩვენებიო.[1] მკვლევარ **ლ. მინაშვილის** აზრით, „აჩრდილში“, „ერთმანეთის გვერდით ურთიერთდაპირისპირებული მოვლენები და ფაქტები დგანან: მყინვარი ისე „აღმოჩნდა მთების ზემოთ“, თითქოს „ცის გასარღვევად აღმოზიდულა“, მაგრამ მისი სრბოლა განგების ძალით „უეცრად შეყენებულა“. მყინვარი რისხვით დასცქერის ქვეყანას, თითქოს უნდა, რომ ის დაამსხვრიოს, მაგრამ ამინდი წყნარია, დილა ლამაზი, ბუნების სურათი წარმტაცია, მომხიბლავი, მაგრამ გონება უნდოა და ეს სილამაზე არ იტაცებს…“[2]

„აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგიც ზვიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ.
……. ……..“ [3]

ამდენად სწორედ კონტრასტული სახე მყინვარისა მიგვანიშნებს, სავარაუდოდ, პოეტის მიზანსწრაფვაზე, აჩვენოს რაღაც ავბედითი მოლოდინის განწყობილება. როგორც ლადო მინაშვილი აღნიშნავს, „ცვლილებათა შემდეგი ჯგუფი პოეტის ბუნებისადმი მიმართების ნათლად

[1] ლ. მინაშვილი, „ილია ჭავჭავაძე“, თსუ, 1995, გვ.232-233.
[2] იქვე. გვ.232.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ.133.

გამოკვეთას ემსახურება.“[1] თუმცა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მკვლევარი ლ. მინაშვილი ნაკლებად უსვამს ხაზს პეიზაჟის მხატვრულ დანიშნულებას და მხოლოდ ლაკონურად აღნიშნავს, რომ „ ილია ჭავჭავაძე ბუნების სურათების თვალსაჩინოდ, საგნობრივად მოწოდების თვალსაზრისით ერთგვარად აგრძელებს გრ. ორბელიანის პოეტურ ტრადიციას. მაგრამ ილიას, როგორც ხელოვანის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მის პოეზიაში ბუნების ეს გრანდიოზული სურათები, პირველყოვლისა, თავისთავადი შინაარსით კი არ წარმოსდგებიან, არამედ დაქვემდებარებულნი არიან აზრს, იდეას. ილია ჭავჭავაძის თხზულებებში ბუნება სოციალურ ენაზეა ამეტყველებული. ბუნება მასთან დაკვირვების ობიექტადაა ქცეული, მაგრამ არა თავისთავადი შინაარსის გამოსახატავად, არამედ სოციალური შინაარსის წარმოსადგენად. ბუნება მიმთითებელია და ამხსნელი.“[2]

ამდენად პეიზაჟი გამოხატავს ჩანასახს პოეტის დაინტერესებისა „თერგის სიგიჟით და მღელვარებით, დაუდგრომლობით“, მეორე მხრივ, კი „მყინვარის სიდიდითა და შეუდრეკლობით.“ აქ შედარება თოვლის სითეთრესა და მყინვარზე მდგომი მოხუცებულის სპეტაკ წვერთან უცნაურად სახოვანია, მაგრამ მარტო ეს არ არის მთავარი ფაქტი. სწორედ პეიზაჟის საშუალებით, კერძოდ, არაგვის ნაპირების აღწერისას შლის პოეტი თხრობას საქართველოს წარსულზე. ამდენად არაგვი წარმოადგენს სუბიექტს, რომელიც მოწმეა წარსულისა და დაგვაფიქრებს აწმყოსა და მომავალზე.

„ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!
ქართლის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ…
……
მიყვარხარ მისთვის რომე ქართველი
აქ-შენს კიდეზედ დაბადებულა.“[3]

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ. 236.
[2] ლ. მინაშვილი, „ილია ჭავჭავაძე“, თსუ, 1995, გვ. 237.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ.136.

აქ გადმოცემულია ავტორის გულისტკივილი ქართლის ცხოვრების ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით. მაშინ როდესაც წინამორბედი რომანტიკოსი პოეტის, ნ. ბარათაშვილის, პოემაში „ბედი ქართლისა“ არაგვის აღწერა ქართველში აღძრულ სასიამოვნო განწყობილებას გამოხატავს.

პეიზაჟი წარსულის აღსაქმელი ფუნქციით გვევლინება, პოემის 25-ე თავში, სადაც ბუნების სტიქიური უბედურებაა გადმოცემული. პოემის დასასრულს წარმოდგენილ სურათში ჭექა-ქუხილი, ქარიშხალი, ზვავი და ერთმანეთში არეული ცეცხლი და მეხი, რომელიც წალეკვას უქადის ქვეყნიერებას. თუმცა პოემის დასასრულს კვლავ გამოჩნდება იმედის სიმბოლო ცისარტყელას სახით.

„მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.“[1]

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ პირველ პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, მრავლად გვხვდება პეიზაჟი, როგორც დამოუკიდებლად მდგომი, ისე გმირის გუნება-განწყობილების გამომხატავი. პოემა იწყება ექსპოზიციით, რომელშიც გადმოცემულია ქვეყნის უსაზღვრო სილამაზეც და უხილავი მოლოდინიც, რაღაც გარდაუვალი ამბისა.

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა;-
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
……..“[2]

ლიტერატურათმცოდნეთა თვალსაზრისში პეიზაჟის აღმნიშვნელი მონაკვეთის შესახებ მეტნაკლებად განსხვავებული შეხედულებებია წარმოდგენილი.

[1] იქვე, გვ. 151.
[2] იქვე, გვ.160.

მკვლევარი **სიმონ გაჩეჩილაძე** აღნიშნავს, რომ: „ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის“ დასაწყისში მოცემულია საღამოს პეიზაჟი იმის საჩვენებლად, თუ რა პირობებში მიდის ზაქრო კაკოს შესახვედრად. ამ სურათს ის დანიშნულებაც აქვს, რომ მიგვითითოს რაღაც სამწუხარო მოვლენაზე (ისეთი ცხოვრების პირობების არსებობაზე, რომელიც აიძულებს ადამიანს ყაჩაღად გაჭრას). მაგრამ საერთოდ „კაკო ყაჩაღის“ დასაწყისში მოცემული პეიზაჟი წარმოადგენს ფონს, რომელზეც ხდება ზაქროს შეხვედრა კაკოსთან.“ [1]

სიმონ გაჩეჩილაძე აქვე აღნიშნავს, რომ: „ პეიზაჟს მწერლები არ იძლევიან როგორც უბრალო ფონს, მოქმედების სარბიელს. პეიზაჟი ხშირად დაკავშირებულია გმირების განწყობილებასთან და მათ მოქმედებასთან. „კაკო ყაჩაღი“ საღამოს პეიზაჟით იწყება. პოეტი გვიხატავს “მწუხრის ზეწარგადაფარებულ“ არემარეს „მთვარეს“, „ალაზანს“, რომელიც „ჩიოდა, თითქოს კაცს ემდუროდა“, მეურმის „გლოვის ზარივით მწუხარ სიმღერას“. ბუნების ასეთი აღწერა დაკავშირებულია იმ ამბავთან, რაც თვით ამ ბუნების ფონზე ხდება. ილიას იმიტომ სჭირდება ბუნების მწუხარედ დახატვა, რომ მის ფონზე სამწუხარო ამბავი ხდება: ზაქრო, რომელიც შეებრძოლა უსამართლობას, იძულებულია ყაჩაღად გაიჭრას. ყაჩაღად გაჭრისათვის ღამე უფრო ხელსაყრელია. ზემოხსენებულის გარდა, ღამის მწუხარე სურათი მკითხველში იწვევს სევდის აღმძვრელ შთაბეჭდილებას და აძლიერებს თანაგრძნობას პოემის გმირისადმი. ბუნების მწუხარება ეხმატკბილება ზაქროს მწუხარებას.“ [2]

ხოლო მკვლევარი **გიორგი ჯიბლაძე აღნიშნავს** : „თითქოს ყველაფერი მოძრაობაშია მოყვანილი, მაგრამ ყველაფერს რაღაც იდუმალი კავშირი შეუკრავს უბედურებასთან, რომელიც ქვეყნად მოვლენილა. ღამეც მწუხარეა, თუმცა მოკამკამე ვარსკვლავები მხიარულობენ, ალაზანი მოთქვამს, თითქოს ადამიანებს ემდუროდეს,-რაზე? ვინ იცის, განა ცოტა

[1] ს. გაჩეჩილაძე, ლიტერატურის თეორია, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1952, გვ. 184-185.
[2] იქვე, გვ. 53.

იყო სამდურავი და სავალალო? მთაც დაფიქრებულია და ალაზნის ბუტბუტს ყურს უგდებს, თითქოს ასწონ-დასწონიდეს მის ჩივილს; მიწაც და ცაც თითქოს დაღლილია ქვეყნის უბედურებით; მეურმე მოსთქვამს „მწუხრის სიმღერას“, რომელიც „გლოვის ზარს“ წააგავს; ეს სიმღერა, მართალია დაჩაგრულ ადამიანს ნაღველით უვსებს გულს, მაგრამ მისი უკუყრაც შეუძლია, როგორც ქარს ღრუბლებისა.“ [1]

მკვლევარი **ანდრო ჭილაია** პოემა „კაკო ყაჩაღის“ შესავალში წარმოდგენილ პეიზაჟს მიაკუთვნებს სიუჟეტის ჩანართის ფუნქციას: „პეიზაჟი, როგორც მოქმედების გაშლის ფონი მხატვრულ ნაწარმოებში, მაგალითად: ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის“…დასაწყისი.“[2]

მხატვრული დატვირთვის თვალსაზრისით ჩვენთვის უფრო მისაღებია პეიზაჟის, როგორც მკითხველის ერთგვარი შემზადების, ფუნქცია აღნიშნული მოსალოდნელი ფაქტის წინ. ამდენად ჩვენ ვეთანხმებით **გიორგი ჯიბლაძისეულ** და **ანდრო ჭილაიასეულ** განსაზღვრას.

დამოუკიდებელ ელემენტად გვევლინება პეიზაჟი, შემდგომ ეპიზოდში:

„კუდი-გორასთან ერთი ტყე არი,-
უწინ ყაჩაღის იყო საფარი,-
საშიში, ბნელი, გულდახურული,
შეუვალი და წამობურული.“[3]

რაც შეეხება პოემა „განდეგილს“, ილიამ აქ ერთმანეთს დაუპირისპირა მშვიდი საღამო და ჯოჯოხეთის მსგავსი ამინდით მოცული ღამე. ამ საშინელი ამინდის ფონზე კონტრასტს ქმნის განდეგილი, თავისი წყნარი, კდემამოსილი ხასიათით, რომელიც მუხლმოყრილი ლოცულობს და ღვთისმშობელს ქვეყნის ხსნას ევედრება. პეიზაჟს აქ სიმბოლური დატვირთვა აქვს. მზე და მისი სხივებით შეფერადებული ზეცა ამქვეყნიური ცხოვრების სიმბოლოდ გვევლინება. როგორც მკვლევარი **კიტა აბაშიძე** შენიშნავს: „რა არის ეს „ირგვლივ სხივ-გაშლით ანთებული“ მზე, ეს ცა

[1] გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და პოეზია), ნაწილი პირველი, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1983, გვ.406.
[2] ა. ჭილაია, ლიტერატურის მცოდნეობის ძირითადი მცნებები, თსუ, 1971, გვ. 317-318.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ.162.

წითლად და ყვითლად მზისაგან აფერადებული, თუ არ თვით ცხოვრება, თუ არ ის მშვენიერი ქალი, რომელმაც საუკუნოდ დაარღვია საბრალო მწირის მყუდროება. რაღა არის ეს მოღრუბლული, მრისხანე, მეხთამტეხი ცა. თუ არ კუშტი და მწყრალი უარმყოფელი ცხოვრების სიტურფისა, რომლის ცრემლები წვიმა იყო მისი სენაკისათვის და ქვითინი - „ქუხვა და ჭექვა“ ცხოვრების დამთმობელი სადგურისათვის. რა არის მთლად ეს ჭექა-ქუხილი „ელვა და სეტყვა“, „არევ-დარევით ღრუბელთა სრბოლა“, ეს საოცარი ამინდი რა უნდა იყოს, თუ არა წინათ მაჩვენებელი განდეგილისათვის, რომ მის შინაგან ცხოვრებასაც უცნაური გრიგალი მოელის, რომელიც მისი დაღუპვით უნდა გათავდეს.“[1]

პოემაში წინა პლანზეა წამოწეული გამარჯვებული მზე, რომელიც აქ სიმბოლური სახეცვლილებაა, ცხოვრებისა, რომელიც უარყო განდეგილმა. მზე თითქოს შურს იძიებს მწირზე ზურგშექცევის გამო. აქ პეიზაჟით ნაჩვენებია, რომ ადამიანმა ზურგი არ უნდა აქციოს ცხოვრებას და უნდა იბრძოლოს ყველა დაბრკოლების დასაძლევად.

თუმცა ზემოთაღნიშნულის საპირისპიროდ, მკვლევარ **ტარიელ ფუტკარაძეს** მიაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ მთავარმა პერსონაჟმა, ბერმა, სიუჟეტის მიხედვით, გაორებისა და ცდუნების ოთხი საფეხური გაიარა. მათ შორის პირველი საფეხური იყო მზის სილამაზით მოჯადოება. [2]ამის დასტურად ტ. ფუტკარაძეს მოჰყავს ნაწყვეტი პოემიდან:

„მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუოდა
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ.189.
[2]ტ. ფუტკარაძე, გამარჯვება „გლოვის ღელეში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013, გვ. 27.

წარტყვევნილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას,
შესცქერდა მზესა განცვიფრებული.“ ავტორის მიერ მიზანმიმართულად გამოყენებული ფრაზა: „წარტყვევნილ იქმნა“ გვიჩვენებს, რომ განდეგილი მისდაუნებურად გვერდიგვერდ აყენებს უფლის ხატსა და ამქვეყნიურ „ხორციელ“ მზეს.“ [1]

ტარიელ ფუტკარაძეს მზე სიცოცხლის, ვნების, გამრავლების სიმბოლოდ მიაჩნია, ისე, როგორც მიღებულია ქრისტიანული სახისმეტყველებით. სწორედ ეს ვნება და ამქვეყნიური ცხოვრების მჩქეფარე რიტმია, მზის სახით „განდეგილში“ წარმოდგენილი, რომელიც დაუოკებელ სურვილს აღუძრავს ბერს და მონუსხავს მას თავისი მიმზიდველობით. „...ხორციელი ცხოვრების გაუცნობიერებელ იმპულსებს (რომლებიც წმინდანთა სხეულებში თვლემენ), მიძინებულ ხორციელ „მეს“ მხურვალე მზე ეხმიანება-აცოცხლებს: „განდეგილში“ მზე სიმბოლოა სისხლსავსე სიცოცხლისა, ვნებისა, გამრავლებისა. ილიასთან ეს ოსტატურადაა მინიშნებული ქარიშხლის წინ; სულიერ მწირსაც და ხორციელ ქალსაც ამქვეყნიური მზე ერთნაირად აჯადოებს.“ [2]

პოემის დასაწყისში აღწერილია ბეთლემის გამოქვაბული. აქ ბუნების სურათი იმდენად სრულყოფილადაა გადმოცემული, რომ მკითხველს ეუფლება სასიამოვნო განცდა და თითქოს ერთი ხელის გაწვდენაზე, თვალნათლივ წარმოგვიდგება, მიუვალ მთაზე ჩამოკიდული, ჯაჭვის კიბით ასასვლელი გამოქვაბული.

„სადაც დიდებულ მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან არასდროს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია

[1] ტ. ფუტკარაძე, გამარჯვება „გლოვის ღელეში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013, გვ. 27.
[2] იქვე, გვ. 41

……..…“[1]

ილიას პოემებში პეიზაჟი ზოგჯერ გმირის გუნება-განწყობილების გამოსახატავადაც გამოიყენება. ამისა დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი „კაკო ყაჩაღიდან“:

„რაკი ტრედის-ფრად ცა ინათებდა
და შორს ცისკარი კამკამს იწყობდა,
მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა
და დილის ტკბილსა ძილს დაგვიფრთხობდა.
ავიშლებოდით, და ჩვენის ხმითა
მკვდარი მთა, ბარი გაცოცხლდებოდა,
……..……..…“[2]

ასევე გმირის გუნება-განწყობილებაა გამოხატული და ადამიანის ბუნებისადმი დამოკიდებულებაა მოცემული „განდეგილის’ შემდეგ ეპიზოდში, როდესაც მწყემსი ქალი თვით აღწერს ქარიშხლის წინ მშვენიერი ბუნების სურათს.

როგორც ზემოთ ვთქვით, აქ მზე მჩქეფარე სიცოცხლის სიმბოლოა, რომელიც თავის მორევში ითრევს და ატყვევებს ყველა მოკვდავს, ასე დაემართა განდეგილსაც.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მხატვრული ფუნქციებისა, პეიზაჟს შედარებითი ფუნქციაც აქვს ილიას პოემებში. მეურმის განწყობილებას ავტორი ადარებს ბუნების მოვლენას:

„ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდეც ვით ღრუბელს ქარი .“ [3]

მოლოდინის განწყობილებაა გადმოცემული პეიზაჟით „განდეგილის“ იშემდგომ ეპიზოდშიც:

„ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედ…
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ჰლამობდა,
სჭექდა და ქუხდა…და ჩემთა ფეხ-ქვეშ

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ.205.
[2] იქვე, გვ. 168.
[3] იქვე, გვ.161.

თვითონ მთის ძირიც იძროდა, ძრწოდა…“[1]

ზემოთ მოყვანილი პეიზაჟის მაგალითების განხილვა, ცხადყოფს, რომ ილია ჭავჭავაძის პოეზიასა და პოემებში, პეიზაჟი გამოიყენება, სხვადასხვა მხატვრული დანიშნულებით; როგორც ცალკე მდგომი კომპოზიციური ელემენტი, სამშობლოს ბედზე ფიქრის გამომსახველი ხერხი, გმირის გუნება-განწყობილებისა და ბუნების სურათის ხილვით გამოწვეული გრძნობების გადმოსაცემიც. უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც მხატვრის მიერ დახატულ ფერწერულ ტილოს აღიქვამს ადამიანი ინდივიდუალურად, ისევე მწერლის მიერ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში გადმოცემული პეიზაჟი მოითხოვს მკითხველის მიერ ჩაღრმავებას და ფარული აზრის ამოცნობას.

§3 პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია ილია ჭავჭავაძის პროზაში

როგორც, ლიტერატურათმცოდნენი თავიანთ ნააზრევში, მიანიშნებდნენ, ილია იშვიათად ცვლის თავის მსოფლმხედველობას, თუ მხატვრულ ოსტატობას. ილიას პროზაულ ნაწარმოებებშიც; „მგზავრის წერილებში“ (1861 წ. ბოლო რედაქცია 1871 წ.), „გლახის ნაამბობსა“ (1859 წ) და „ოთარაანთ ქვრივში“ (1887 წ.), ავტორი ცდილობს იმდენად ჩართოს პეიზაჟი, რამდენადაც იგი საჭიროა ნაწარმოების კომპოზიციაში პერსონაჟის გუნება-განწყობილების გამოსახატავად.

ილიას „მგზავრის წერილები“ არის ნაწარმოები, სადაც ჩანს ავტორის მსოფლმხედველობა და მისი ფიქრები სამშობლოს წარსულსა და აწმყოზე, მისი სურვილი და იმედი კვლავ აღორძინებისა. როგორც მკვლევარი **აპოლონ მახარაძე** აღნიშნავს: „მკითხველზე მომხიბვლელ შთაბეჭდილებას ახდენს „მგზავრის წერილების“ ის ადგილები, რომელშიც მთა მყინვარისა და მდინარე თერგის შედარებაა მოცემული. იგი ადამიანს სულის სიღრმეში წვდება და ყველაზე კეთილშობილურ გრძნობებს აღუძრავს. ილია

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ. 215

გადმოგვცემს საკუთარ ფიქრებსა და განცდებს…“[1] „მგზავრის წერილებში“ ილიამ ერთმანეთს დაუპირისპირა ბუმბერაზი მყინვარი, რომელსაც თავი ცისთვის მიუბჯენია და ძირი დედამიწაზე უდგას და მოუსვენარი, მუდამ მოძრავი თერგი. პეიზაჟის საშუალებით ილიამ გადმოსცა ის საკაცობრიო იდეალები, რომლის მომხრეც იყო არა მარტო ის, არამედ ყველა 60-იანელი. როგორც აპოლონ მახარაძე წერს: „…მყინვარისა და თერგის ურთიერთდაპირისპირება, განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რადგან ამ შედარება-დაპირისპირებაშია მწერლის მაღალი საკაცობრიო იდეალები,“[2] რასაც ქვეყნის გათავისუფლებისათვის აუცილებელ ქმედით მოძრაობაში გამოხატავს.

ილიას აკვირვებდა მყინვარის დიდებულება და სიდიადე, მაგრამ ის მხოლოდ გაოცებას იწვევდა და არა სიყვარულს. მყინვარის აღწერიდან ჩანს, რომ მწერალს არ მოსწონს ერთ ადგილას გაშეშებული, უმოძრაო ცხოვრება. მყინვარში მას წარმოდგენილი ყავს საქართველო და ქართველი ერი, რომელიც შეგუებია აწმყოს და მიძინებულა, აღარ ფიქრობს გამოღვიძებას, რადგან მომავლის რწმენა და იმედი დაჰკარგვია. „დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო… არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა. არც მაგისთანა მიუკარებლობა.“[3] ამ დადუმებული, გაქვავებული მყინვარის გვერდით კონტრასტს ქმნის მდინარე თერგი. გიჟი, მოუსვენარი, მუდამ მოძრაობაში მყოფი. ილიას უყვარს თერგი, რადგან მასში გაღვიძებულ ცხოვრებას ხედავს. მის დინებაში ქვეყნის ყოველდღიური ყოფიერება მოსჩანს, მყინვართან შედარებით თერგი ხმაურიანია, მის ხმაში გამოღვიძებული ადამიანის ჩივილიც ისმის. „დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავი კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობღავის

[1] ა. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი I, „განათლება“, თბილისი, 1972, გვ. 24.
[2] იქვე, გვ. 25.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ.265.

და აბღავლებს თავის გარეშემოსა…..მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია-როგორც უკვდავება და ჩუმია-როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია.“[1]

ილიასათვის თერგი ბედნიერი მომავლისათვის მუდმივი ბრძოლის სიმბოლოა. პეიზაჟის საშუალებით აქ გადმოცემულია ერისადმი მოწოდება, რომ გამოფხიზლდეს, რადგან უძრაობაში ყოფნა კარგს არაფერს უქადის ქვეყანას.

ამავე ფუნქციის მატარებელია პეიზაჟი „მგზავრის წერილების“ იმ ეპიზოდში, სადაც დღისა და ღამის შედარებაა მოცემული. გათენება ბედნიერი მომავლის იმედს უღვიძებს ავტორს: „დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ-ღა ეღირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე,“ [2] წერს ილია ჭავჭავაძე.

ამის შესახებ მკვლევარი გიორგი ჯიბლაძე აღნიშნავს, რომ: „მყინვარისა და თერგის სიმბოლური პარალელი მეტ ძალას იძენდა, შინაარსეულად ძლიერდებოდა დღისა და ღამის ღრმად გააზრებული შედარებით. ღამე უძლურია დროსთან ბრძოლაში, რაკი დრო სიცოცხლის სინონიმია. დღე და ღამე თითქოს სიმბოლურად განასახიერებენ ადამიანური ცხოვრების კეთილსა და ბოროტ საწყისებს, რასაც ილიამ ასე ღრმა საფუძვლები მოუნახა!..“[3]

ილიას მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ ერთ ეპიზოდში აღწერილია ნადირობისათვის ხელსაყრელი დაბურული ტყე და თვითონ ნადირობის ფაქტი. ამაზე მკვლევარი **ლადო მინიშვილი** მიანიშნებს, რომ: „ „გლახის ნაამბობის“ პირველ თავში „ნადირობის ტრფიალის“ შედარებით ვრცელი

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ.265.
[2] იქვე, გვ.266.
[3] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი IV, გ. ჯიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე“, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1974, გვ. 76-77.

აღწერაა წარმოდგენილი, ხოლო ამ აღწერას ის მნიშვნელობა აქვს, რომ სწორედ ნადირობასთან არის დაკავშირებული მთხრობელის შეხვედრა გლახასთან, ნაწარმოების მთავარ გმირთან…“[1]

ილია ამ მოთხრობაში პეიზაჟის შედარებისთვისაც იყენებს, როდესაც აღნიშნავს, რომ გაბრიელისათვის ”მზე იყო იმისი წმინდა სანთელი და კელაპტარი და დილის ნამის ორთქლი საკმეველად შეექმნა.“[2] იმავე ფუნქციით გამოიყენება პეიზაჟი შემდგომ ეპიზოდში: „მზე რად უზამს იმოდენას დამზრალს ყვავილსა, რაც თბილი სიტყვა დაჩაგრულს გულსა…“[3]

პეიზაჟი გაზაფხულისაგან სახეშეცვლილი ბუნების სურათის გადმოსაცემად გამოიყენება „გლახის ნაამბობის“ შემდეგ ამონარიდში: „მზე წითლად-ყვითლად ელვარე ჰღუოდა, მთის წვერისაკენ გადახრილი. ქვეყანა, გაზაფხულისაგან ხელახლად გაცოცხლებული და გაღვიძებული, როგორც აკვნიდან ბავშვი, ისე გამოიყურებოდა ტკბილად.“[4]

რაც შეეხება მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივს“, ეს არის სოციალურ პრობლემატიკაზე დაწერილი ნაწარმოები და მასში პეიზაჟი დამოუკიდებლად მდგომ ელემენტად გვევლინება. მას არ აქვს ისეთი ფუნქციონალური დატვირთვა, როგორიც ილიას ლირიკასა, პოემებსა და სხვა პროზაულ ნაწარმოებებში. აქ პეიზაჟი გამოიყენება ეზო-კარმიდამოს წარმოსადგენად და ბუნების სურათების აღსაწერად. ერთადერთი ეპიზოდი, რაზეც შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ, არის ოთარაანთ ქვრივის სიკვდილის წინ ზამთრის სურათი, რომელშიც აღწერილია ღამის სიჩუმეში ჩაძირული გარინდული სოფელი. „შუა-ხანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქმნა და ნახევრად შექცეული ზურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა. ის თბილ-გრილი, ის მშრალ-სველი, ის ციაგ-ლურჯი შემოდგომა, რომელიც ჩვენმა დალოცვილმა ქვეყანამ ასე ტკბილად, ასე ლბილად იცის, მიჰბერდა და ჭაღარა მოერია. მისი ჭაღარა ჭირხლია.

[1] ლ. მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, თსუ, თბილისი, 1995, გვ. 410.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977, გვ.346.
[3] იქვე, გვ.307.
[4] იქვე, გვ. 345.

მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილ-დილაობით ჭირხლი ედებოდა და მხოლოდ შუადღის გულზედ მზე პირდაპირ დაჰხედავდა თუ არ, ჭირხლს, ზოგს წყლად ქცეულს, მწყურვალი მიწა სვამდა და ზოგი ორთქლად ცას აჰქონდა და ბამბის ქულასავით თეთრ, ფუნჩულა ღრუბლად აქა-იქ ატარებდა თავის თვალგადუწვდენელს სიგრძე-სიგანეზე, სიღრმე-სიმაღლეზე."[1]

ამრიგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვა ლიტერატურულ ხერხებთან ერთად, ილია თავის შემოქმედებაში იყენებს პეიზაჟს საკუთარი იდეოლოგიის გადმოსაცემად, რაც გაუყვება მთელ მის შემოქმედებას. პეიზაჟის მეშვეობით ის ცდილობს გადმოსცეს თავისი სათქმელი, ხშირ შემთხვევაში პეიზაჟს სიმბოლური დატვირთვა აქვს და გამოხატავს ავტორის შეხედულებებს რეალურად მიმდინარე პროცესებზე. პეიზაჟი ილიას შემოქმედებაში გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციონალური თვალსაზრისით. ის გამოიყენება, როგორც ქვეყნის ბედზე ფიქრისა და ჭმუნვისათვის, ისე სატრფიალო თემატიკის, ესთეტიკური გრძნობის, გმირის გუნება-განწყობის, უბრალო ფონი, შედარებებისა და ძირითადი იდეოლოგიის წარმოსაჩენად. ილიას თხზულებებში ბუნება აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს იმ მხრივ, რომ იგი საჭიროა ნაწარმოების კომპოზიციის გაშლა-განვითარებისათვის.

თავი III. პეიზაჟი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1977 , გვ. 531.

§1. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია აკაკი წერეთლის ლირიკაში

ქართული რეალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლის **აკაკი წერეთლის** (1840-1915 წწ) შემოქმედება ჟანრთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მისი ლექსები, პოემები და მოთხრობები გამოხატავს არა პირად, არამედ საზოგადო სევდასა და საფიქრალს. პოეტის მწუხარებასა და ტანჯვაში ხალხის გოდება ისმის. აკაკის პოეტური მემკვიდრეობის მთავარი აზრი და იდეა სამშობლოს დასტრიალებს. მისი გლოვისა და ლხენის საგანი საქართველოა, მთელი თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აკაკის, მკაცრი ცენზურის გამო, ხშირად უწევდა ალეგორიული ხასიათის ლექსები დაეწერა. მათში პოეტი სიმბოლურად გადმოსცემდა რეალურ ფაქტებს. აკაკის საკუთარი თავი „მიწასა და ცას შორის“ შუამავლად მიაჩნდა და ვალდებულად თვლიდა თავს, რომ ეზრუნა ქართველ ერზე. მისი თქმით, პოეტს ერის წინამძღოლობა და ღმერთთან მის გასაჭირზე საუბარი ევალებოდა. როგორც აკაკის მკვლევარნი აღნიშნავენ, „თვითმპყრობლობასთან“ და გაბატონებულ კლასებთან უთანასწორო ბრძოლაში პოეტი იძულებული ხდებოდა „ეზოპეს ენისათვის“ მიემართა. მისი პოეტური არსენალი უაღრესად მდიდარია მრავალფეროვანი ალეგორიებით, შენიღბული აზრებით, პოლიტიკური მინიშნებებით. ეს სახეები ყოველთვის ღრმა პოეტური აზრით არის განათებული და ცოცხალი ფერებითაა აღსავსე. ამის გამო ისინი ხალხისათვის ყოველთვის გულში ჩამწვდომია და გასაგები.“[1]

აკაკიმ თავისი პოეზია უკვდავყო იმ მხრივადაც, რომ სამშობლოს სულიერი სატრფოს მსგავსად ესაუბრება. როგორც მკვლევარი **აპოლონ მახარაძე** წერს: „აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედებისათვის ძირითადი და განმსაზღვრელია ეროვნული თავისუფლების მოტივი. მშობლიური ქვეყნის ბედი აწმყოსა და მომავალში პოეტის მუდმივი ზრუნვის საგანია. მგოსანი ქართველი ხალხისა და ქართული ეროვნული კულტურის უსაზღვროდ პატრიოტია, მაგრამ მშობლიური ქვეყნისადმი

[1] ქართ. ლიტერატურის ისტორია, ტომი IV, გ. აბზიანიძე, „აკაკი წერეთელი“,“ საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974, გვ.145.

სიყვარული იმგვარადაა შეხამებული საერთო საკაცობრიო იდეალებთან, რომ ეს კეთილშობილური გრძნობა მთელი მიმზიდველობით წარმოგვიდგება.“[1]

რამდენადაც აკაკი წერეთლის პოეზია ჩვენ გვაინტერესებს, საკვლევ თემასთან დაკავშირებით, ყურადღებას გავამახვილებთ სწორედ ამ კუთხით. მის პოეზიაში პეიზაჟს სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვა აქვს. სამშობლოს „დამონებულმა“ მდგომარეობამ გული გაუტეხა პოეტს და სევდით აავსო. ლექსში „აღმართ-აღმართ“ პეიზაჟით პოეტმა წარმოაჩინა ის სულიერი ტკივილი, რომელსაც განიცდის მოტყუებული, „ჭინჭარში“ ჩავარდნილი სამშობლოს სავალალო მდგომარეობის გამო. როგორც მკვლევარი **მიხეილ ზანდუკელი** აღნიშნავს: „ამ ელეგიაში ალეგორიულად განსახიერებულია პოეტის ნდომა ცხოვრების ასპარეზზე დარჩეს, ცხოვრებამ ისიც „ერთ კაცად იწამოს“. პოეტს სურს წინ სვლა. ამიტომ აღმართ-აღმართ მიდიოდა ნელა და სერზედ შედგა. აქ მას „ჭმუნვის ალი ენელა“. მზემ სხივები მოაფინა, მან სიცოცხლე იგრძნო, სიკვდილმა ის ვეღარ შეაშინა, რადგან მას აქ ხმა სიმართლისა მედგრად მოესმა, ფეხქვეშ მან მიწა იგრძნო. პოეტს ამ ბედნიერების განცდის მომენტშიც სატრფოზე (თავის სამშობლოზე) ფიქრი დაატყვევებს, გადაიხედავს, დაინახავს სატრფოს-მონას, მოხიბლულს, შემცდარს, ალერსით მთვრალს, რომელიც ვერ ამჩნევს მტერს და მასზე მიმართულ მტრის ისარს“.[2]

პოეტს სურს გააფრთხილოს სატრფო, დაიცვას იგი გარდაუვალი საფრთხისაგან, მაგრამ სამშობლოს არ ესმის მისი ძახილი. ვერ ამჩნევს შარბათში შერეულ, შენიღბულ საწამლავს, რომელიც დაღუპავს მას. ამ ლექსში პეიზაჟი სიმბოლური ფუნქციური დატვირთვითა მოცემული. „ჭინჭარში“ ის განსაცდელი იგულისხმება, რომელიც საქართველოს მოელის, თუ ერი არ გამოფხიზლდება. სატრფოს სახით აქ სამშობლოა წარმოდგენილი. „სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, მისი თავისუფლების

[1] ა. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი I, განათლება, თბილისი, 1972, გვ.413-414.
[2] მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტომი II, თსუ, თბილისი, 1962, გვ. 392.

დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას პოეტმა ინტიმური განცდის სიღრმე მისცა და ჭეშმარიტი ტრაგიზმის ელფერი შესძინა“.[1] -წერს მკვლევარი **გიორგი აბზიანიძე**.

იმავე ფუნქციის მატარებელია პეიზაჟი ლექსში „ამირანი“. აქ პეიზაჟის საშუალებით გადმოცემულია საქართველოს ისტორიული ბედისწერა და მუდმივი ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის. **მიხეილ ზანდუკელი** აღნიშნავს, რომ: „ აქ, აშკარაა ამირანის სახით პოეტი ჰხატავს თავის სამშობლოს ბედს, თავის სანუკვარი მისწრაფების სინამდვილედ ქცევას. პოეტი ვერ ითმენს და თვითონვე ისწრაფვის მკითხველს ალეგორია გაუხსნას:

„კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანნი.“ [2]

აკაკისათვის ბუნება ის მეგობარია, რომელსაც ყველაზე სანუკვარ ოცნებას გაანდობს და ისიც სევდას გაუქარვებს, თითქოს გვერდით დაუდგება და ოცნების ახდენაშიც დაეხმარება. როგორც მკვლევარი **კიტა აბაშიძე** წერს, „პოეტს ბუნება თავის თანამოაზრედ მიაჩნია, მისი ფიქრისა და აზრის სრულ მეგობრად ისე, როგორც ჩანგი და ზურნა მიაჩნია მისი სევდისა და კვნესის გამომსახველად: ბუნებას თითქო ესმოდეს მგოსნის კვნესა და გოდება, თითქო ისიც ლეჩაქმოხდილი სატრფოს სიყვარულით იყოს გაგიჟებული, თითქო მასაც შეეძლოს ჰყავდეს ასეთი სატრფო და ამ სატრფოს ნესტან-დარეჯანი ერქვას; ბუნებას აი რა დიდი საქმე უკისრია; „თუ გნებავთ გაარჩიოთ წმინდა ბრე წინაპრების და მტრების ბილწი მტვერი“, პოეტი ურჩევს ადამიანებს თვალ-ყური ადევნოთ, თვით ბუნებას: „იქ ეკალი ამოდის, სადაც მტერი მარხია, და სადაც ჩვენმა ძველმა წმინდა სისხლი დაჰღვარა, აქ მოდის ყვავილები და ზოგანაც ვარდის ხეა“.[3]

---

[1] ქართ. ლიტერატურის ისტორია, ტომი IV, გ. აბზიანიძე, „აკაკი წერეთელი“, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1974, გვ.136.
[2] მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტომი II, თსუ, თბილისი, 1962, გვ. 396.
[3] კ. აბაშიძე, ეტიუდები (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია), თსუ, თბილისი, 1962, გვ.231-232.

სამშობლოს ბედ-იღბალზე ფიქრს და ბედნიერი მომავლის იმედს გამოხატავს პეიზაჟი ლექსში „გაზაფხული“. ლექსი 1881 წელს დაიწერა და აკაკიმ იგი მიუძღვნა იმ ფარულ იმედს, რაც მოჰგვარა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობის ამბავმა. ამ ფაქტმა იმედი აღუძრა პოეტს, რომ მის სამშობლოსაც ეღირსებოდა ნანატრი თავისუფლების მოპოვება. უნდა ვთქვათ, რომ „გაზაფხული“ ისეა დაწერილი, თითქოს მხოლოდ წელიწადის ულამაზესი დროის, გაზაფხულის შემობრძანებას, გაცოცხლებული ბუნების პეიზაჟს გადმოსცემდეს, თუმცა აქ ალეგორიულად სწორედ იმპერატორის სიკვდილით გამოწვეული სიხარული და ქვეყნის ხსნის იმედია მოცემული:

„მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.
……..……“[1]

სწორედ იმავე ფუნქციას ასრულებს პეიზაჟი ლექსში „ძველ სამეფოს“. მასში ნაჩვენებია საქართველოს მძიმე მდგომარეობა, რამაც დააჭკნო და დაასნეულა „ ვით ზაფხულში მზისგან მდელო“. პოეტი იმედს არ კარგავს, რომ უკეთესი მომავალი მოელის მის სამშობლოს, მაგრამ ამისათვის ერის გამოღვიძებაა საჭირო:

„ ……
მოემზადე, ახალი დრო
შესამკობლად გვირგვინს გიწნავს!“ [2]

აკაკიმ პეიზაჟის საშუალებით სული შთაბერა მთაწმინდას ლექსში „განთიადი“. აქ მამა დავითის მთა ადამიანური თვისებებით არის აღჭურვილი და დადუმებული უსმენს მტკვარს, რომელიც დიმიტრი ყიფიანს თითქოს ნანას უმღერის. პოეტი სამშობლოს ზეცასა და მიწას, ფირუზსა და ზურმუხტს ადარებს:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,

[1] ქართ. საყმაწვილო ბიბლიოთეკა, ტომი V, აკაკი წერეთელი (ლექსები, პოემები, მოთხრობები, სიტყვები), ნაკადული, თბილისი, 1986, გვ. 42.
[2] იქვე, გვ. 22.

მკურნალად შემეყარეო!..“ [1]

როგორც მკვლევარი **კიტა აბაშიძე** აღნიშნავს: „ ბუნება კიდევ უფრო სიცხოველესა და გრძნობიერებას იჩენს, კიდევ მეტად განსულიერებულია და განხორციელებული პოეტის ხელში, როცა „გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს, მამა დავითსა ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყვარეს, მთა-წმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა, მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს თავდადებულის საფლავსა. დადუმებულა მთა-წმინდა, ისმენს დუდუნსა მტკვრისასა, მდინარე ნანას უმღერის რაინდსა ურჩსა მტრისა.“ თქვენ კარგად იცით ვისი საფლავია ეს, დიდებული განძი დღევანდელი საქართველოსი, და აწ თქვენთვის ადვილი მისახვედრია, რომ დაუღალავი მგოსანი თავის სამშობლოს ერთ სურვილს, ერთ თხოვნას უცხადებს ქვეყანასა და ბუნებას, რომელიც ასეთ მეგობრობას უწევს მას, ასე უჭერს მხარს. ეს თხოვნა დიდი არ არის, პოეტის თქმის არ იყოს: „დედა შვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენ მიწას მიმაბარეო, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!“ და ვინ იცის საიდუმლოება ბუნების მოვლენათა, ვინ იცის დაფარული კავშირი მოვლენათა, ვინ იცის, იქნება ეს სამშობლო მიწაც კმაყოფილი იქნეს და ბედნიერი ისეთი მგოსნის დასაკუთრებით, რომელმაც შეიძლება უსულო ბუნების ფიქრებიც კი სავსებით შეიგნო.“ [2]

მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ აკაკი წერეთელმა ლექსში „სულიკო“ გამოხატა სატრფო-სამშობლოს დაკარგვის ტკივილი. ერთი შეხედვით ასეცაა, თუ ქრისტიანული სახისმეტყველებითი თვალსაზრისით არ ჩავუღრმავდებით, მასში გამოყენებულ სიმბოლოებს. „სულიკოსთან“ დაკავშირებით მკვლევარი **კიტა აბაშიძე** აღნიშნავს: „ … ისეთი მშვენიერი ლექსით დაგვისურათა ბუნების ძლევამოსილი გავლენა სიყვარულის გრძნობაზედ, რომ უკეთესს წარმოდგენა ძნელიც არის. გულდათუთქულ საყვარლის საფლავის მაძებარს „ვარდი ნიშნად თანაგრძნობისა თავდახრით

[1]ქართ. საყმაწვილო ბიბლიოთეკა, ტომი V, აკაკი წერეთელი (ლექსები, პოემები, მოთხრობები, სიტყვები), ნაკადული, თბილისი, 1986, გვ. 62.
[2] კ. აბაშიძე, ეტიუდები (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია), თსუ, თბილისი, 1962, გვ.232.

შეეგება და ცვარ-მარგალიტი ციური დაბლა ცრემლებად დაყარა; სულგანაბულმა ბულბულმა შეიფრთქიალა, ყვავილს ნისკარტი შეახო, ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა, თითქოს თქვა „დიახ, დიახო“; -მოციმციმე ვარსკვლავმა სხივები გადმოაყარა და იმ დროს ყურში ჩურჩულით ნიავმა გაახარა.“ ამრიგად მისი სიყვარულის თანამგრძნობი, მისი გრძნობის ეხო თვით ბუნება შეიქნა; ცა, დედა-მიწა და პირუტყვნი: „სამათ გაშლილა ის ერთი: ვარსკვლავათ, ბულბულ, ვარდათო და იმ დღიდან ტრფობის ქურუმი მგოსანი

ბულბულს ყურს უგდებს, ვარდს ყნოსავს,
ვარსკვლავს შეჰყურებს ლხენითა
და, რასაცა გრძნობს ის იმ დროს,
ვერ გამოუთქვამს ენითა.

ამრიგად, დაარსდა საუკუნო კავშირი მგოსანსა და ბუნებას შორის, მათ შორის მეგობრობის ხიდი გაიდვა.“ [1]

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ პოეტმა ამ ლექსით მოგვცა ქრისტიანული კონცეფცია, ანუ ღმერთის სამპიროვანი ერთარსებობა.

„სამად გაშლილა ის ერთი;
ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდადო…“[2]

ამასთან დაკავშირებით მკვლევარი **აკაკი ბაქრაძე** წერს: „ საყვარლის, ანუ ღმერთის ძებნას უშედეგოდ არ ჩაუვლია. პოეტმა იგი იპოვა ვარდში, ბულბულში, ვარსკვლავში. სულ უბრალო კითხვა დასვით: რა შეიძლება იყოს გარდა ღმერთისა, დამარხული, შენახული ვარდში, ბულბულში და ვარსკვლავში? ცხადია, არაფერი. ერთადერთი, რისი საფლავიც (ანუ შემნახავი) შეიძლება გახდეს სამივე, არის უზენაესი, რაკი იგი ყველგან სუფევს. არსებითია ისიც, რომ ძიება მიმდინარეობს ვერტიკალურად-ქვევიდან ზევით, მიწიდან ცისკენ. ამაღლების პროცესია ნაჩვენები.“ [3]

---

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია), თსუ, თბილისი, 1962, გვ.234-235.

[2] ქართ. საყმაწვილო ბიბლიოთეკა, ტომი V, აკაკი წერეთელი (ლექსები, პოემები, მოთხრობები, სიტყვები), ნაკადული, თბილისი, 1986, გვ. 67.

[3] ა. ბაქრაძე, თხზულებანი, ტომი I, მერანი, ლომისი, თბილისი, 2004, გვ. 199.

ალეგორიული დატვირთვა აქვს პეიზაჟს ლექსში „ზღვაო, აღელდი, აღელდი.“ აქ პეიზაჟით მოცემულია მოწოდება ერისადმი, რომ საჭიროა გამოვიდეს მძინარე მდგომარეობიდან, „აღელდეს“, რადგან მხოლოდ სიფხიზლითაა შესაძლებელი მოიპოვოს ბედნიერება, რაც დამოუკიდებლობის დაბრუნებაში მდგომარეობს. მას პოეტი მუდამ ერის წინამძღოლად მიაჩნია:

„ პოეტო! ნურც შენ ეკრძალვი
მრისხანე გულის ღელვასა!
ძილის დროს ქუხილს ნუ მოსლი
და სიბნელის დროს ელვასა.“ [1]

საკუთრივ ბუნების სურათის აღწერას ემსახურება პეიზაჟი ლექსში „გაზაფხული“, სადაც მაღალმხატვრულ დონეზეა დახატული ბუნების გამოღვიძება.

ლექსში „პოეტი“ პოეტის დანიშნულებაზე ამახვილებს ყურადღებას და მის მოვალეობას პეიზაჟის საშუალებით გამოხატავს აკაკი წერეთელი. აქ ჩანს მგოსნის შეხედულება იმის შესახებ, რომ ადამიანი სამშობლოს უნდა ემსახურებოდეს, მისი მთავარი საზრუნავი სწორედ ერი უნდა იყოს, პოეტს მასზე ფიქრი და ზრუნვა უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა. „შუაკაცი ვარ უბრალო, ხან მიწისა ვარ ხან ცისა“.-წერს მგოსანი და მთელი თავისი სიცოცხლე მართლაც სამშობლოზე ფიქრსა და ერის გამოფხიზლებისკენ მოწოდებას შეალია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ლექსი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით არის „ქებათა-ქება“. ეს ლექსი ზოგიერთი მკვლევარისათვის ერთგვარი დეკლარაციის გამომჟღავნებაა, რომელშიც მოცემულია არამარტო, სიყვარულის თაყვანისცემა, არამედ ადამიანის ზნეობრივი სილამაზე და სრულყოფილება. მისი სულიერი სიძლიერე და ესთეტიკური გრძნობა, რომელსაც ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულება იძლევა. პოეტი ლექსის დასაწყისში აღნიშნავს, რომ მის ბედნიერებას ბუნების მშვენიერება უფრო აღრმავებს. ბუნების სილამაზე სამოთხის დარად

[1] ქართ. საყმაწვილო ბიბლიოთეკა, ტომი V, აკაკი წერეთელი (ლექსები, პოემები, მოთხრობები, სიტყვები), ნაკადული, თბილისი, 1986, გვ. 65.

წარმოუდგენია მგოსანს. ადამიანის ჰარმონიული დამოკიდებულება ბუნების მიმართ სიამოვნებას ჰგვრის მას.

„დახეთ ამ მთვარეს სხივმომფინეს,
თითქოს ტკბილ სევდით ივსებსო გულსა!..
მოკაშკაშენი, მოთამაშენი,
ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა.
……
ქვეყნით ბუნება ბანს ეუბნება
და ეს ბანია „ქებათა-ქება.“ [1]

აკაკი წერეთელმა პეიზაჟის გამოყენებით წარმოაჩინა სიყვარული ცასა და მიწას შორის შუამავალ, ციურ ნიჭად. თუმცა მკვლევარი გიორგი აბზიანიძე აღნიშნავს, რომ: „ქებათა-ქება“ პოეტის ზოგადი დეკლარაცია კი არ არის, მისი სულიერი ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია და უმაღლესი მხატვრული განზოგადების დონეზეა აყვანილი. ამ ლექსში პოეტის სატრფო დახატულია უნაზესი ფერებით, უწმინდესი გრძნობებით, მასში პოეტი ხედავს იდეალს, გამთბარს სიცოცხლეს სუნთქვით და გაშუქებულს ქართველი ქალის დიდებით…“ [2]

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აკაკი წერეთლის პოეზიაში, პეიზაჟი გამოიყენება სხვადასხვა მხატვრული დატვირთვით, როგორც პოეტის მთავარი მიზნის, სამშობლოზე ფიქრისა და ზრუნვის ალეგორიული სახით გადმოცემის საშუალება. პოეტი პეიზაჟით წარმოაჩენს ქართველ 60-იანელთა თვალთახედვას. მათთვის პირად კეთილდღეობაზე წინ საზოგადო საქმე იდგა და სამშობლოს სამსახური მიაჩნდათ თავიანთ უპირველეს მოვალეობად. პეიზაჟი აკაკის პოეზიაში ეროვნული და სოციალური მდგომარეობის გამომხატველ ელემენტად უფრო გამოიყენება, ვიდრე პირადი განცდებისა და ემოციების გადმოსაცემად, რასაც აღწევს ალეგორიით ქვეყნის ბედისა პეიზაჟში აღწერილ ბუნების სურათებთან.

§2. პეიზაჟის ფუნქციონალური დანიშნულება აკაკი წერეთლის პოემებში

[1] http://kids.ge/poesy-verse?id=1115.

[2] ქართ. ლიტერატურის ისტორია, ტომი IV, გ. აბზიანიძე, „აკაკი წერეთელი“, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1974, გვ.152.

აკაკი წერეთლის პოემათა უმეტესობა ეხმიანება საქართველოს ისტორიული წარსულის ასახვას. მგოსანმა თავის შემოქმედებაში თანამედროვე პრობლემები წარსულთან დააკავშირა და სხვა ლიტერატურულ ხერხებთან ერთად, ეროვნული და სოციალური იდეოლოგიის გამოსახატავად, გამოიყენა პეიზაჟიც. აკაკის პოემებში პეიზაჟი სიუჟეტის გაშლისათვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ამჯერად, ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე, ყურადღებას შევაჩერებთ პოემებზე: „ნათელა“ (1897 წ.),“გამზრდელი“ (1898 წ.) და „თორნიკე ერისთავი“ (1884 წ.).

პოემა „ნათელა“ საქართველოს მთლიანობის იდეას გამოხატავს, რასაც ადასტურებს კიდეც მასში გაჟღერებული ფრაზა: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო…“[1] პოემა „ნათელას“ პირველ თავში, პეიზაჟის საშუალებით, აკაკიმ წარმოაჩინა, თუ რა შედეგი მოაქვს მზისა და მთვარის დაპირისპირებას. აქ პეიზაჟი სიმბოლური დატვირთვის მატარებელ კომპოზიციურ ელემენტს წარმოადგენს. მზისა და მთვარის პროტოტიპები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო არიან. როცა ურთიერთმტრობის გამო საზოგადო საქმე ფუჭდება, მტერს უადვილდება ხელში ჩაიგდოს დასუსტებული ქვეყანა.

„ერთხელ თურმე მზე და მთვარეს
მოუვიდათ ჩხუბი დიდი:
გაშორდნენ და შემაერთი
ჩაინგრიეს გზა და ხიდი…
მზის სხივების ვეღარ მჭვრეტი,
გახმა ია, დაჭკნა ვარდი!..“ [2]

შედარების ფუნქციით გამოიყენება პეიზაჟი იმავე პოემაში, სადაც პოეტი მთავარი პერსონაჟის, ნათელას, ფიზიკურ სილამაზეს აღწერს:

„ტანადობა აქვს ალვის ხის
და თვალადობა მთვარისა,
ღიმილი-ცისკრის ვარსკვლავის,
სხივოსან მოელვარისა.

[1] ქართული საყმაწვილო ბიბლიოთეკა, ტომი V, აკაკი წერეთელი (ლექსები, პოემები, მოთხრობები, სიტყვები), ნაკადული, თბილისი, 1986, გვ. 164.
[2] იქვე, გვ. 144.

……..“ [1]

საკუთრივ ბუნების სურათს აღწერს და ესთეტიკურ გრძნობას აღძრავს პოეტში მთავრის სასახლის ადგილ-მდებარეობა;

„იმისი კოშკი მაღალი
უჭვრეტდა ოთხსავ მხარესა;
მახლობლად თავზე
დღისით მზეს, ღამით მთვარესა.
მისჩერებოდა იალბუზს,
გადაჰყურებდა შავ ზღვასა,
შეფერადებულ ჭალებსა,
სანახავს სხვასა და სხვასა!“ [2]

გმირის გუნება-განწყობილებას გამოხატავს იმავე პოემაში, ეპიზოდი, როდესაც ცოტნე ნათელას მწუხარების მიზეზს ეკითხება:

“……
მზე რომ ჭიატობს წვიმის დროს,
ამბობენ; „მზე პირს იბანსო,
და ცისარტყელა შვიდფერი
მას მხარს უმშვენებს და განსო.“ [3]

პოემა „გამზრდელი“ აკაკიმ ზოგადად პედაგოგებს და ზნეობრივი აღზრდის თემას მიუძღვნა. აქ პეიზაჟი გვხვდება როგორც შედარებისათვის, ისე იმისათვის, რომ გადმოსცეს ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება. ის გამოიხატება, მაგალითად, როგორც ფონი იმისა, რომ ბუნება თავისი სტიქიით ეხმიანება იმ ამბავს, რაც სიუჟეტში უნდა განვითარდეს. „გამზრდელი“ იწყება „ფაცხის“ მდებარეობის აღწერით. ერთი შეხედვით ამ მიუვალ საცხოვრებელს, თითქოს ადამიანის ცოდვილი გონება და ხელი ვერ უნდა მიწვდეს, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად ვითარდება.

„როდესაც მთა ბარს და ვაკეს
ემუქრება წარღვნა-ღელვას,-
ფაცხაც ღრუბელს გარს იბურავს,
ეკრძალება ჭექა-ელვას.

[1]ქართული საყმაწვილო ბიბლიოთეკა, ტომი V, აკაკი წერეთელი (ლექსები, პოემები, მოთხრობები, სიტყვები), ნაკადული, თბილისი, 1986, გვ. 144.
[2] იქვე, გვ. 158.
[3] იქვე, გვ. 159.

……..…“ [1]

შედარების ფუნქციური დანიშნულებით გამოიყენება პეიზაჟი ნაზიბროლას ფიზიკური და სულიერი მომხიბვლელობის გადმოსაცემად:

„მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი,
ედემს ალვად ასულია!..[2]

პოემის მეორე თავში პეიზაჟით მოცემულია ბუნების სტიქიური მოვლენა. განრისხებული მოვლენა აჩენს განცდას და მოლოდინს იმისას, რომ სიუჟეტის იძაბება და რაღაც არასასიამოვნო ფაქტი უნდა მოხდეს, რასაც თვით ბუნებაც კი ეხმიანება, თითქოს სურს მომავალი უბედურება ააცილოს თავიდან პოემის მთავარ გმირს.

როგორც მკვლევარი აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს: „ადამიანი, როგორც კერძო პირი, და ერიც, როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი ერთობლიობა, ნაწილია მთელი სამყაროსი. განკერძოებულად არაფერი ხდება. ერთმანეთის ბედში ყველაფერი მონაწილეობს, როცა საფარ-ბეგის ბნელი სულისთქმა უნდა აღსრულდეს და ნაზიბროლა გააბახოს, მთელი ბუნება ირყევა, ძრწის, წარღვნით ემუქრება სულიერსა და უსულოს.

„ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ
ნადირსაც კი იფრთხო ძილი!..
ქარი ზეის გულსაკლავად,
წვიმა უშვებს კოკის პირად;
ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში
გავარდება მეხი ხშირად.
თითქო მართლა თვით ჯოჯოხეთს
აუშვია ქვეყნად ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!“ [3]

უნდა აღინიშნოს, რომ პოემა „გამზრდელში“ პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ავტორმა ხაზი გაუსვას სამყაროს

[1]ქართული საყმაწვილო ბიბლიოთეკა, ტომი V, აკაკი წერეთელი (ლექსები, პოემები, მოთხრობები, სიტყვები), ნაკადული, თბილისი, 1986,გვ. 184.
[2] იქვე, გვ. 186.
[3] ა. ბაქრაძე, თხზულებანი, ტომი I, მერანი, ლომისი, თბილისი, 2004, გვ. 199.

ერთიანობის იდეას. ბუნება და ადამიანი ერთიმეორის განუყოფელი ნაწილები არიან და შემთხვევით ამ სამყაროში არაფერი ხდება. ბუნებას ისევე ესმის ადამიანის განზრახვა და ფიქრები, როგორც თვით ადამიანებს შეუძლიათ ამოიცნონ ერთმანეთის ფარული ზრახვა და მიზნები. ასე რომ პეიზაჟი აქ უბრალო ფონად კი არ გვევლინება, არამედ იგი წარმოადგენს მთავარ ძაფს სიუჟეტის მომავალი განვითარების ამოსაცნობად. პეიზაჟი მიმნიშნებელია იმისა, რომ პოემაში რაღაც ავბედითი მოქმედება უნდა განვითარდეს, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სამყარო ცდილობს შეეწინააღმდეგოს სიბოროტეს, თითქოს მარცხდება, მაგრამ სიყვარული კვლავ იმარჯვებს და პოემა კიდევ ერთხელ აფიქრებს ადამიანს ჩაუღრმავდეს თავის არსს და დაძლიოს სულის კუთხეში მიმალული სიბოროტის პაწაწინა სურვილიც კი.

აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მანერისათვის დამახასიათებელია ერთგვარად რომანტიკოსებთან შეხმიანებაც. ამის მაგალითად გვევლინება ომის დაწყების წინ, ბუნების ეპიზოდი რომანტიკოს პოეტ გრიგოლ ორბელიანთან, პოემაში „სადღეგრძელო“ და მსგავსი სიტუაციური ეპიზოდი აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“. რომანტიკოს პოეტთან მშვენიერი ბუნება, რომელმაც ადამიანი უნდა გაახაროს, აღაფრთოვანოს კონტრასტს ქმნის მოსალოდნელი ომის დაწყებასთან. აქვეა გადმოცემული პოეტის სინანული, რომ ამ მშვენიერი ბუნების ხილვისას ადამიანს რატომ უნდა სხვისი სისხლის დაღვრა. პოემაში :თორნიკე ერისთავი“, აკაკი, აღწერს რა მდინარე ჰალისის პირას დაბანაკებული ქართველთა და მის მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლის დაწყების წინ განთიადის სიმშვენიერეს, თითქოს აფრთხილებს ადამიანებს „დაჩუმდით….ყური მიუგდეთ…არ გესმით, ჰგალობს ბულბული?“

რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანი ბუნების სურათს პირდაპირ აღწერს და იქ მქროლავი ცხენის მეშვეობით აქცენტს აკეთებს რიტორიკულ კითხვაზე ღვთის მიმართ:

„ვიშ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჭმუნვის განმქარველს, სიცოცხლის დამატკბობელსა!

ღმერთო, ვინ მიჰწვდეს შენგან ქმნილს, მისს ფერუთვალავ შვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!..[1]

იმავე ფაქტის გადმოსაცემად აკაკი წერეთელი შეყვარებულის მომლოდინე ეთერის განცდის მეშვეობით გადმოსცემს მშვენიერ ბუნებას, რომელიც მზის ამოსვლის მოლოდინშია და სიცოცხლით არის აღსავსე, მაშინ, როდესაც სიკვდილი იქვე ახლოსაა, ომის დაწყების სახით.

აღნიშნული შედარება მოჰყავთ ნ. გაფრინდაშვილსა და მ. მირესაშვილს, თუმცა აქ გაკეთებულია მინიშნება, რომ პეიზაჟით აკაკიმაც და გრიგოლ ორბელიანმაც კონტრასტის მეშვეობით აჩვენეს ომის საშინელება, მაგრამ რატომღაც ორივე პოემაში წარმოდგენილ პეიზაჟს მოქმედების ფონად მიიჩნევენ, „რომელიც ორგანულად ერწყმის მხატვრული ნაწარმოების საერთო ქსოვილს.“ [2] ჩვენ კი ჩვენის მხრივ შევნიშნავდით, რომ, თუმცა ორივე პოემაში ბრძოლის წინ ბუნების მშვენიერების აღწერის კონტრასტით გადმოცემა, თითქოს ანალოგიურია, მაგრამ, თუ რომანტიკოსთან პეიზაჟი პოეტს ჩააფიქრებს ომის საშინელებაზე, რეალისტ პოეტთან ბუნების გასულიერების გზით, პეიზაჟის ჩართვით აღწერს მის აქტიური ფუნქციას, როცა ხდება მოვლენის კონსტატაცია.

აკაკი კვლავ მიმართავს ომის დასასრულს პეიზაჟს, რომელშიც მთვარის შუქზე ბრძოლის ველის აღწერით წარმოჩინდება, იგივე ჰუმანისტური აზრი:

„და, ჰა, მთვარემაც ამოატანა!
ამოყო თავი მაღალ მთის წვერით
და გადმოხედა ნაზად ბრძოლის ველს;
კაცის ქვეყნიურს ბნელსა საქმესა
მაღლით ციური აფენდა ნათელს.
გაანათა და გამოაჩინა
დასანახავი გულშესაზარი,
თითქო უნდოდა ეჩვენებინა
კაცისთვის ბოროტ ნამოქმედარი.
სულ დაჭრილ-მკვდრებით მოფენილია

[1] გრ. ორბელიანი, საღამო გამოსალმებისა, „მერანი“, თბილისი, 1989, გვ. 198.
[2] ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი, 2008, გვ.126-128.

ხეობა, ღელე, ტყე და მინდორი!“ [1]

მაშინ, როდესაც გრიგოლ ორბელიანის პოემაში „სადღეგრძელო“ მთვარე ნუგეშის მცემლად ევლინება, ომისაგან დაღლილ, გადარჩენილ მხედრობას:

„აჰა, მთოვარეც ნელიად შუქს,

ვითა ნუგეშსა მოგვფენს ნათელად.“ [2]

ამრიგად ზემოთ განხილული ეპიზოდების დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედებაში პეიზაჟი უბრალო ფონად არ გამოიყენება, მას ერთმანეთისაგან განსხვავებული მხატვრული ფუნქცია აქვს. მის ნაწარმოებებში წარმოდგენილი პეიზაჟი აძლიერებს მხატვრულ-ემოციურ მხარეს.

§3. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია აკაკი წერეთლის პროზაში

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს მოთხრობას „ბაში-აჩუკი“. მასში ავტორმა ეროვნული მთლიანობის იდეა გააჟღერა. მოთხრობაში მოცემულია, როგორც ისტორიული სინამდვილე, ისე ხალხური და გამოგონილი პერსონაჟები თუ ამბები. „ბაში-აჩუკი“ დატვირთულია ემოციებითა და რეალისტური სიღრმით, რაც ერთობ სასიამოვნო წასაკითხს ხდის მოთხრობას. აქ მოცემული პეიზაჟური სურათები ოსტატურად და მაღალმხატვრულ დონეზეა გადმოცემული. მოთხრობა ბუნების სურათის აღწერით იწყება. აქ პეიზაჟი ნაწარმოების ექსპოზიციურ ნაწილს წარმოადგენს, თუმცა სიმბოლური დანიშნულება უფრო აქვს, რადგან არაგვის მჩქეფარე სრბოლაში საქართველო იგულისხმება, მთელი თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით: „თვალმიუწვდომელ სიშორიდან გველივით მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი და ერთგან კლდოვან კიდეს გამეტებით ეხლებოდა, რომ ახალი გზა გაეკვლია!.. თავს არ იზოგავდა, მაგრამ შეუპოვრობისაგან უკუქცეული, დარეტიანებული და თავბრუდასხმული, თითქოს სულის მოსაბრუნებლად

[1] ქართული საყმაწვილო ბიბლიოთეკა, ტომი V, აკაკი წერეთელი (ლექსები, პოემები, მოთხრობები, სიტყვები), ნაკადული, თბილისი, 1986, გვ. 129.

[2] გრ. ორბელიანი, საღამო გამოსალმებისა, „მერანი“, თბილისი, 1989, გვ.179.

იქვე მორევში რამდენჯერმე მოტრიალდებოდა ხოლმე და მერე და მერე კი დაკვირვებით გადადიოდა დაბლობზე, რომ უფრო მეტის სიფრთხილითა და კვნესა დუდუნით დაშვებულიყო ქვემოტეხილ ჭალებისაკენ…[1]

იმედის მომცემ ძალას წარმოაჩენს პეიზაჟი შემდეგ ეპიზოდში: „ამ დროს თავი ამოჰყო მთვარემ…ნელ-ნელა გადმოეშვა მთის წვერზე, სამკურნალოდ მიჰფინ-მოჰფინა სხივები ცა და ქვეყანას, გამოაღვიძა სიბნელეში სულგანაბული არემარე, დაჰქროდა ნიავმა, აბიბინდა მდელო, აშრიალდნენ ფოთლები, შეირხნენ ბუჩქები და ერთხმად შეუჭიკჭიკეს ბულბულებმაც!.. ბნელით გამოსულმა ქვეყანამ სული მოიბრუნა…“ [2]

მემუარული ხასიათის პროზაულ ნაწარმოებში აკაკის „ჩემ თავგადასავალში“ ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა ეპიზოდმა, რომელშიც ავტორი ყურადღებას ამახვილებს ადამიანის სიცოცხლის არსზე და იმ გარდაუვალ მოვლენებზე, რაც სამყაროში წინასწარ არის განსაზღვრული. პეიზაჟი ამ ეპიზოდში შედარების ფუნქციითაა აღჭურვილი და ფილოსოფიური ჩაღრმავებისაკენ უბიძგებს მკითხველს: „ …წყალი რა არის… წყალი!.. უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს; დაიბადება თუ არა, ე. ი. თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე, მაშინვე იწყებს ჟონვას ნელ-ნელა, ახალ-ფეხადგმულ ბავშვივით დაუყვება დაღმართს, თანდათან იზრდება, ფეხს იკიდებს, სანამ წკრიალით არ ჩაცუნცულდება რომელსამე ხევში, სადაც, როგორც აღვირუსხმელი, სისხლჭარბი, თავმომწონე და შეუპოვარი, სანავარდოდო გამოსული ჭაბუკი, აღარავის ეკრძალვის, აღარაფერს ერიდება: მირბის და მიხტის ღრიალ-გრიალით!.. უძრავ ქვებს თავზე ევლება და კლდოვან კიდეებს თავგამეტებით აქეთ-იქით ეხლება, რომ გაგლიჯოს და გაიტანოს მისი მოწინააღმდეგე!.. მაგრამ, ვერ შემძლები ამისი, ზარითა და ზეიმით ჭალებისაკენ მიექანება. აქ კი გაგულდიდებული, ღრმა კალაპოტში ჩამჯდარი და გულსავსე, ვაჟკაცური მედიდურობით, მშვიდობიანად

[1] ქართული საყმაწვილო ბიბლიოთეკა, ტომი V, აკაკი წერეთელი (ლექსები, პოემები, მოთხრობები, სიტყვები), ნაკადული, თბილისი, 1986, გვ. 299.
[2] იქვე, გვ. 326.

ტალღებს ტალღებით მიაგორებს!.. მიდის, მიშხუის, ზღვისაკენ თავმიცემული შორის გზით მიმავალი, და, რაც უფრო და უფრო უახლოვდება აუცილებელ სავანეს, თანდათან იჩენს აუჩქარებლობას, როგორც მოხუცი, და ბოლოს კიდეც შეჩერდება ერთი შეჩერება… ტბორავს… თითქოს უნდა, რომ უკანასკნელად ერთი კიდევ მოიხედოს უკანვე, თვალი გადაავლოს თავის წარსულს, ფერადად გავლილ შორეულ გზას, და მერე კი საუკუნოდ ჩაინთქას, ჩაიღუპოს ზღვის უფსკრულში!..“[1]

აკაკი წერეთლის ნაწარმოებები სასიამოვნო წასაკითხია. მასში გამოყენებული პეიზაჟი უმეტეს წილად ეროვნულ და სოციალურ თემატიკას ეხმიანება და, ზოგან თუ აშკარად იკვეთება ეს მიმართულება, ზოგან სიმბოლურად ან ალეგორიულად არის წარმოჩენილი. ერთი რამ კი ცხადია, აკაკის შემოქმედებაში პეიზაჟი უბრალო ფონის ფუნქციით არ გამოიყენება, იგი მგოსნის ძირითად მიზანს, სამშობლოს მძიმე მდგომარეობით გამოწვეულ დარდს და ერის გამოფხიზლების სურვილს გამოხატავს.

თავი IV. პეიზაჟი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში

§1. მკვლევართა ნააზრევიდან პეიზაჟის დანიშნულებაზე ალექსანდრე ყაზბეგის პროზაში

[1] ქართული საყმაწვილო ბიბლიოთეკა, ტომი V, აკაკი წერეთელი (ლექსები, პოემები, მოთხრობები, სიტყვები), ნაკადული, თბილისი, 1986, გვ. 361.

ალექსანდრე ყაზბეგის (1848-1893 წწ) შემოქმედებიდან ძირითადი საკვლევი ობიექტია პროზა. ამ პროზაში მით უფრო თვალსაჩინოა პეიზაჟი, მოთხრობაში იქნება, თუ რომანში. აქ ყველაზე მეტად ყურადღება გამახვილებულია გმირების ხასიათზე და მათი გადმოცემის მხატვრულ ხერხებზე.

ალექსანდრე ყაზბეგის პროზაში გადმოცემულია მოხევეთა ყოფა-ცხოვრება და ადათ-წესები, იმ მძიმე ვითარების ფონზე, როდესაც საქართველო რუსის ჯარის სათარეშო ასპარეზად ქცეულა. მწერალი დაუფარავად, რეალისტური თვალთახედვით გადმოგვცემს არსებულ სინამდვილეს. უნდა აღინიშნოს რომ ყაზბეგის პროზა საკმაოდ მდიდარია ბუნების სურათებით, თუმცა აქ პეიზაჟი განცალკევებით კი არ დგას, არამედ ადამიანებთან მჭიდრო მიმართებაშია წარმოჩენილი და ხაზს უსვამს, როგორც მოქმედი გმირების ხასიათსა და გუნება-განწყობილებას, ისე სამყაროსთან ერთიანობის იდეას.

მკვლევარი **აკაკი კენჭოშვილი** აღნიშნავს: „ალ. ყაზბეგი თოთქოს შეგნებულად უარყოფს ფორმის გარეგნულ დახვეწილობას და სინატიფეს, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი გვხიბლავს ნაწარმოების შინაგანი მხატვრული გააზრებით: მონუმენტური სახეებით და ხასიათებით, თხრობის ექსპრესიით, ბუნების ცხოველი სურათებით…“ [1]

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია პეიზაჟს. მწერალი საოცარი ოსტატობით გვიხატავს ბუნების სურათებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისთვის ბუნება ადამიანის გარეშე არ არსებობს. ბუნების მოვლენები პერსონაჟების შინაგან სამყაროსთან არის შეთანხმებული და აძლიერებს იმ ემოციებს, რასაც ყაზბეგის მოთხრობებისა, თუ რომანების გმირები განიცდიან.

მკვლევარი **კიტა აბაშიძე,** რომელმაც ერთ-ერთმა გაამახვილა ყურადღება აღნიშნულ საკითხზე, წერს, რომ: „ ბუნების სილამაზის აღწერაში მან საუცხოოდ შეიგნო ლირიკული და პლასტიკური მხარე

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი IV, აკაკი კენჭოშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი“, გვ. 362.

ბუნებისა და საარაკო მხარე ბუნების სიმშვენიერისა სავსებით გვამცნო. გადაშალეთ, რომელიც გნებავთ, ნაწარმოები ყაზბეგისა და დასტკბით ბუნების სიმშვენიერით, რომელსაც მწერლის ნიჭი ღვთაებრივ სულს ჩაჰბერავს და აზრსა და გრძნობას გვიხიბლავს. გასაოცარი ხელოვნებით დაგვისურათა ყაზბეგმა ის უხილავი ძლიერი კავშირი, რომელიც არსებობს მთის შვილსა, საზოგადოდ, ადამიანსა და ბუნებას შორის. ესენი თითქო ერთად შეზრდილნი, ერთად შედუღებულნი არიან სულითა და გულით, გრძნობითა და გონებით…“ [1]

ალექსანდრე ყაზბეგის, როგორც „ბუნების დიდი მხატვარის“ შესახებ, განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა მკვლევარ **ვახტანგ კოტეტიშვილს.** მას მიაჩნდა, რომ „სტატიკაში გაქვავებული“ ბუნების აღწერაში ვაჟა-ფშაველა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ყაზბეგი, მაგრამ იქვე დასძენს, რომ: „…თუ ბუნებას ავიღებთ როგორც ადამიანის გარშემო და ადამიანთან ერთად დიდ მოძრაობაში მოსულს, ალ. ყაზბეგი ისეთ გენიოსურ სურათებსა შლის, რომ არამცთუ ჩვენს მწერლობაში, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად მოეძებნება ბადალი…“ [2]

§2. პეიზაჟის მხატვრული ფუნქცია ალექსანდრე ყაზბეგის პროზაში

პირველი ნაწარმოები, რომელსაც ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე მიმოვიხილავთ, არის მოთხრობა „მოძღვარი“ (1883 წ.) იგი იწყება გუდამაყრის ხეობისა და ბურსაჭირის ღელის აღწერით. პეიზაჟით აქ წარმოდგენილია ამ ორი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული სურათი. გუდამაყრის ხეობა „…მუდამ დაბურული, დაღვრემილი და შეკუმშული ბურსაჭირის ფრიალო, ნისლს არასოდეს არ იშორებს და იმ ერთადერთ ბილიკსაცა ჰფარავს, რომელიც ქარსა და ავდარს გაუკვლევია; მკაცრი, მედიდური, შავად და ბნელად გამოიყურება უზარმაზარი ფრიალო

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 281.
[2] ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები ორ წიგნად, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965, გვ. 547-548.

და, თითქოს განრისხებული, ყველას ექადის, ვინც კი მიკარებას გაუბედავს…“ [1]

ამ მკაცრი და საშიში ხეობის გვერდით ესთეტიკურ გრძნობას აღძრავს მკითხველში ბურსაჭირის ღელე, რომელიც იზიდავს ადამიანის გულსა და თვალს.

მაყვალას შინაგან სევდას და მის მძიმე მდგომარეობას ეხმიანება ბუნებაც. პეიზაჟით გადმოცემულია ქალის ის მძიმე ყოფა და განცდა, რასაც მისი უბედურება იწვევს. თითქოს ბუნება ცდილობს თავის სიღრმეში ჩაითრიოს ქალი და ამქვეყნიურ ტანჯვას განაშოროს. „…ერთბაშად ქარმა დაჰქროლა, ბოროტად დაჰზუზუნა და ყოველის უბედურების ერთად ქადილით სველი, უსიამოვნო თოვლი სახეში მიაყარა…“[2]

სამყაროს ერთიანობის ერთიანობას წარმოაჩენს პეიზაჟი იმ შემთხვევაში, როდესაც ყაზბეგი, მაყვალას თოვლში „ჩამარხვის“ შემდეგ განთიადის ულამაზეს სურათს წარმოგვიდგენს. ამ მონაკვეთში ჩანს, რომ ბუნებასა და ადამიანს შორის არის უხილავი კავშირი, რომელსაც მხოლოდ თვითონ ამოიცნობენ და შეიგრძნობენ. გამძვინვარებული სამყარო, როდესაც ადამიანურ მსხვერპლს იღებს, ანუ როცა ერთარსებად იქცევა ადამიანი და ბუნება, ყველაფერი მშვიდდება და ჩვეულ მდგომარეობას უბრუნდება.

„ხალხში რწმუნებაა, ვითომც გამძვინვარებული ბუნება მხოლოდ მაშინ შესდგება და გაყუჩდება, როდესაც ვისმე იმსხვერპლებს. მართლაც, დღეს ამის შემდეგ, ბურსაჭირშიაც სიცივე მოტყდა, ქარი ჩავარდა და განთიადთან ერთად ნისლი გაიმქრია. ცა მოიწმინდა და მზის შუქებმა იქაურობა გაანათა. გასაოცარს სურათად გადაქცეულიყო იმ ადგილების მდებარეობა. უფსკრულად ჩახეთქილი ხეობანი თოვლით ამოვსებულიყო და ყინვას გადაესალა. ჩამოსულის ზვავების მთები აშენებულიყო და ისეც დაოღრო-ჩოღროებული ადგილი ეხლა უფრო არეულიყო. მთლად თეთრად

[1] ქართული პროზა, წიგნი XI, ალექსანდრე ყაზბეგი, მოთხრობები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, გვ. 571.
[2] იქვე, გვ 583-584.

მოქცეულს ადგილების შუა, აქა-იქ ამოეხეთქა კლდეებს, რომელთაც თოვლი ვერ მიჰკარებოდა და შავად ამართულნი, წარსულის ღამის შავისა და ბნელის შემთხვევათა მოწმედ დარჩენილიყვნენ. ყველაფერი გაჩუმებულიყო, ყველა დადუმებულიყო, თითქოს ყველას თავი მოეხარა მედიდურს ბუნების წინაშე.“ [1]

გმირის გუნება-განწყობილებას წარმოაჩენს პეიზაჟით ყაზბეგი მომდევნო ეპიზოდში და მიანიშნებს, რომ ბუნებას უთქმელადაც ესმის ადამიანის სულში მომხდარი ცვლილებები და სიყვარულის გრძნობას კიდევ უფრო უმძაფრებს ონისეს. „მთვარე ის-იყო მთის წვერიდგან ამოშუქებულიყო და ღრუბელს ნახევრად შეჰფარებოდა. ღამის მნათობის მოარშიყეთ, რაკი სატრფოს მიახლოვება ეგრძნოთ, მორცხვად შეწითლებულიყვნენ და მნათობისათვის გული გადაეშალათ…”[2]

ცუდი ამბის მოლოდინს აღძრავს პეიზაჟი შემდეგ ეპიზოდში: „ ერთს ბნელსა და ავდრიანს რამეს, როდესაც თითქოს ცა გახეთქილიყო და მიწას წალეკვას უპირებდა,-წექა-ქუხილს ისეთი გრიალი გაჰქონდა, რომ კაცს ყურთასმენა ეკარგებოდა, წამდაუწუმ გაიელვებდა, თითქოს დედამიწას ცეცხლი ავარდაო, გაკვესებასავით რამდენჯერმე იფეთქებდა და ისევ შთაინთქმებოდა, წყვდიადი უფრო მომეტებულის ძალით ჩამოაბნელებდა. სიტყვით, ღამე იყო ისეთი, რომ თვალში მიტანილს თითს ვერ დაინახავდით და ჩამონგრეულს ნიაღვართან არეულს კლდეებს საჯოჯოხეთო გრიალი გაჰქონდა. ამას ემატებოდა გამედგრებული ქარიშხალი, რომელიც მაღალ ხეებს თავს ახრევინებდა, ძირიანად ჰგლეჯთა და მცირე ხანს ჰაერში ტრიალის შემდეგ სადმე უფსკრულში გადასტყორცნიდა. ბუნება გამხეცებულიყო და ქვეყანას აღმოსაგველად შებრძოლებოდა.“ [3]

იმავე ფუნქციით არის წარმოდგენილი პეიზაჟი იმ დროს, როდესაც ონისე მაყვალას კლავს. პეიზაჟი მოლოდინის გარდა, თითქოს

[1] ქართული პროზა, წიგნი XI, ალექსანდრე ყაზბეგი, მოთხრობები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, გვ. 584-585.
[2] იქვე, გვ. 610.
[3] იქვე, გვ. 675.

გამაფრთხილებელ ფუნქციასაც იძენს. თითქოს ცდილობს თავისი მრისხანებთ წინ აღუდგეს იმ გარდაუვალ სიბოროტეს, რასაც ადამიანი აპირებს: „ ჩამობნელდა და ჩაიხურა. ბუნებამ ისევ გამძვინვარებით ღრიალი დაიწყო, ცას ცრემლი ნაკადულად გადმოსცვივდა და ქარმა გლოვის გოდება და ზუზუნი დაიწყო…მცირე ხანიც და, მას შეუერთდა კივილი ღონემიხდილი ქალისა… ხმა ქარმა გაიტაცა ჟღრიალით და ვინ იცის, საით გადაქმანჯა. კიდევ ხმა კივილისა და ზედ მოჰყვა დამაყრუებელი დაჭექება, იფეთქა ელვამ და ქვეყანა უფსკრულში გაეხვა.“ [1]

მკვლევარი კიტა აბაშიძე, ბუნების სტიქიის ამ იდუმალებაზე წერს: „ …ბუნება ამ საშინელ მოვლენას ადამიანთა ფსიქიკისას პასუხს გასცემს გამძვინვარებული ღრიალით, გლოვიარის გოდებითა და ზუზუნით, ელვითა და ჭექით. აღსრულდა მოვლენა, ისეთივე აუცილებელი მსოფლიოს მსვლელობაში, როგორც ონისესა და მაყვალას სიყვარული, როგორც ელვა და ჭექა, ქარის ზუზუნი და გამძვინვარებული ღრიალი …“ [2]

საოცარი მხატვრულობით აქვს აღწერილი ყაზბეგს მაყვალას საფლავი. პეიზაჟით აქ მოცემულია ბუნების თანაგრძნობა, მიუხედავად იმისა, რომ თემმა მოკვეთა მაყვალა, ბუნებას არ გაუწირავს თავისი შვილი და მიცვალებული გულში ჩაუკრავს. თითქოს მის მანუგეშებლად, მთელი თავისი სილამაზე დაუბერტყავს ქალის სამარეზე, გეგონება ცდილობს გარდაცვლილს მაინც მოჰგვაროს სიმშვიდე და ბედნიერება.

მოთხრობაში „ელგუჯა“ (1881 წ) ყაზბეგი გადმოგვცემს ხევის ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, იმ მძიმე მდგომარეობას, რაც რუსის ჯარის ჩაყენებამ გამოიწვია ხევში, და, საერთოდ საქართველოში. „ელგუჯაში“ გადმოცემული ბუნება გასულიერებულია, მოკვდავივით ფიქრობს და განიცდის, უყვარს, იცავს და ეწინააღმდეგება. პერსონაჟის, კერძოდ, კი მათიას გუნება-განწყობილების გამოხატვის ფუნქცია აქვს პეიზაჟს შემდეგ ეპიზოდში: „მთვარე, რომელიც იმ ღამეს თითქოს განგებ ისე

[1] ქართული პროზა, წიგნი XI, ალექსანდრე ყაზბეგი, მოთხრობები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, გვ. 679-680.
[2] კ. აბაშიძე, ეტიუდები (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 293-294.

გაკაშკაშებულიყო, დედამიწას ნაზ სხივებს ჰფენდა და კაცის გულს მღელვარებას, მწუხარებას უღვიძებდა. მათიას გადაბრუნებაზედ მთვარის შუქი პირდაპირ პირისახეზედ მიადგა და ძალათი თვალები გაახელინა.…“[1]

პეიზაჟითაა გადმოცემული ბუნების წინააღმდეგობა მოსალოდნელ უბედურებასთან. როდესაც ხევში რუსის ჯარი შემოდის, ბუნება ცდილობს თავისი სტიქიით წინ აღუდგეს მათ და მოსახლეობას საფრთხე აარიდოს.

„ …ერთბაშად შავი ღრუბელი გამოჩნდა; ჰაერი შედგა, თითქო იმ ადგილს თავის დღეში ქარს არ გაექროლა; ჩამოცხა კიდეც. ღრუბელი თანდათან იზრდებოდა, თითქოს უხილავი ძალა ჰბერავდა; ცა ტყვიის ფრად მოიქცა. ერთბაშად დაქროლა ქარმა და იქაურობას კორიანტელი აადინა; ფოთლებმა შრიალი დაიწყეს, მაღალი ხეები შეირყა და თითქოს ვიღაცას ემუქრებოდნენ, თავების ქნევა დაიწყეს…“ [2] პეიზაჟით აქ ჩანს ის წინააღმდეგობა, რასაც ბუნება უწევს უცხო ჯარს, რომელიც უბედურებას უქადის ხევის მშვიდობიან მოსახლეობას.

მომდევნო ნაწარმოები რომელიც, ჩვენი საკვლევი საკითხიდან გამომდინარე იპყრობს ყურადღებას არის „ხევისბერი გოჩა“. სიყვარულის დაუოკებელ, დამპყრობლურ ძალას წარმოაჩენს, შედარების ფუნქციით გადმოცემული პეიზაჟი ონისეს შეგრძნების გადმოცემისას. „…მას ზღვასავით მოაწვა აღელვებული სისხლი, რომელიც ჩუხჩუხით ხან გულისაკენ გაქანდებოდა და აატოკებდა, როგორც ზღვის ზვირთები უიალქნო ნავს, ხან თავს ეძგერებოდა და ნისლსავით ეხვეოდა, უბნელებდა თვალებს და გონებას.“ [3]

ონისეს სულიერ მდგომარეობასთან კონტრასტს ქმნის პეიზაჟი, გაზაფხულის ბუნების აღწერისას. „ბუნება შეიცვალა: მოუსვენარი ზუზუნა ქარების ადგილი წყნარად მრხეველმა ნიავმა დაიჭირა, მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარენი, ბალახმა იგრძნო თავისი ძალა, წამოიწია და

[1] ქართული პროზა, წიგნი XI, ალექსანდრე ყაზბეგი, მოთხრობები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, გვ. 84.
[2] იქვე, გვ. 133.
[3] ალექსანდრე ყაზბეგი, მოთხრობები და რომანები, ტომი II, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1962, გვ. 255.

თეთრად გადაფარებული თოვლის სუდარი ჯერ დედამიწას ააშორა და მალე, მზის დახმარებასთან ერთად, წყლად აქცია და ქვევით ხევებში ხრიალით და უგზო-უკვლოდ გააქანა. მძიმე, უსიამოვნო ტვირთისგან განთავისუფლებულმა კავკასიის მთებმა თითქოს თმები შეიბერტყეს და დამასევდიანებელის ყინულის მაგიერ მწვანე ხავერდი გადაიფარეს. გაიღვიძეს ყვავილებმა და ნაზად თავის გადაგდ-გადმოგდებით დაუწყეს ერთმანეთს არშიყობა. გაშმაგებული მზის სხივი მოუსვენრად ლამობდა მათის მშვენიერებით დატკბობას, მაგრამ მდელოთ კეკლუცნი მორცხვად პირს არიდებდნენ…“ [1] ეს ყველაფერი ფერს კარგავს ონისეს თვალში, რადგან მთელი მისი არსება ძიძიას სიყვარულს მოუცავს და სხვას ვერაფერს ვეღარ ამჩნევს და განიცდის გარდა ქალის სიყვარულისა.

ბუნების საოცარი ჰარმონიულობა აქვს პეიზაჟით გადმოცემული ყაზბეგს თერგის ხეობის აღწერისას, სადაც „ბამბასავით გაპენტილი“ ნისლი ჩამოწოლილა, აქა-იქ მთის წვერებს ამოუყვიათ თავი. ცა განთიადის მოლოდინშია და ვარსკვლავები ოდნავ ციმციმებენ. ნიავიც კი არ ქრის და დადუმებულია ირგვლივ არემარე. ამ ჰარმონიას ზარების ხმა არღვევს, რომელიც იდუმალებას აქრობს და ცუდ წინათგრძნობას აჩენს მკითხველში.

მოთხრობაში „განკიცხული“ (1884 წ.) პეიზაჟით ძირითადად ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება იკვეთება. ლევანი, რომელმაც დაკარგა სიყვარული და მასთან ერთად მომავლის იმედიც, სამყაროს შავ-თეთრ ფერებად აღიქვამს. მისთვის ყველაფერმა დაკარგა ფასი და პერსონაჟის შინაგან შფოთვას ეხმიანება ბუნებაც, რომელიც გლოვის ხმას გამოსცემს: „მთებს, მინდვრებს, ტყეებს დაეკარგათ თავისი შნო, თავისი ლაზათი, თავისი მიმზიდველობა…ნიავიც კი ვეღარ აგრილებდა შუბლს და გამაცოცხლებელს ნექტარს ვეღარა სძრავდა სხეულში. თვით წყალიც კი

[1] ალექსანდრე ყაზბეგი, მოთხრობები და რომანები, ტომი II, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1962, გვ. 270-271.

ვერარ მოხშუოდა თავისებურად და ნაზის „ნანინას“ მაგივრად მწარედ და ყრუდ გლოვის ხმას გამოსცემდა…“ [1]

მოთხრობაში „ციცია“ პეიზაჟი ითავსებს უბედურების მომასწავებელი მოლოდინის ფუნქციას. როდესაც ქორღუყო ციციას ეძებს, ცაზე კუდიან ვარსკვლავს ხედავს, რაც ავისმომასწავებლად ეჩვენება მოხუცს და არც შემცდარა, ციციას მართლაც საფრთხე ემუქრება, რადგან სახლიდან გაიტაცებს, მასზე შეყვარებული სულთი. გმირის გუნება-განწყობილებას წარმოაჩენს და კონტრასტს ქმნის პეიზაჟი, იმავე მოთხრობის შემდეგ ეპიზოდში: „ მთვარე წყნარად, ნათლად და მედიდურად საითკენღაც მიეშურებოდა, თითქოს ეშინოდა სხვა ქვეყნების დატკბობაც არ დაჰგვიანებოდა, სხვა ადგილების გაბრწყინებას არ დასცდენოდა. წყარო ამაოდ ეუბნებოდა წყნარსა და ტკბილს ნანას, მთვარე უბრალოდ ესროდა დამატკბობელს სხივს, ტყუილად დაჰქროდა დამამშვიდებელი ნიავი, ჩვენს მგზავრებს ძილი გასტეხოდათ და ყველანი თავ-თავის საგონებელს წაეღო.“ [2]

ადამიანისა და ბუნების ერთიანობის, სამყაროს განუყოფლობის გამოხატვის ფუნქცია აქვს პეიზაჟს, როდესაც ბეჟიას ბუნება იპყრობს. მონუსხული ბეჟია ბუნების შემადგენელ ნაწილად ქცეულა და არწივის მსგავს თავისუფლებაზე ოცნებობს. „ ბურსაჭირის მეორე მხარესაც ჯერ მწვანე ზურმუხტის ფერი ველიანი მისდევდა და თავდებოდა ზოგან ჩონჩხებით, ზოგანაც სიპი კლდეებით. აქა-ის გადმოსჩქეფდა რძესავით თეთრი ნაკადულები, რომლებიც გაცოფებულს მხეცსავით ეცემოდა ჩამოლესილს კლდეებს და წვრილს ნამად იფრქვეიდა. წყნარი ნიავი იშვიათად ჰბერავდა და აგრილებდა მზისგან გახურებულს ადგილებს. ერთს, ადგოლს, ლაჟვარდოვანს ცაზედ, გაჩერებულიყო ღრუბლის პატარა ნაჭერი, რომელიც ხან იკარგებოდა და ხან ისევ სხვადასხვა გვარ სურათად გამოჩნდებოდა. ერთს ადგილას ცის ტატნობზედ, გამოჩნდა ბუზისოდნად

[1] ალექსანდრე ყაზბეგი, მოთხრობები და რომანები, ტომი II, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1962, გვ. 244.
[2] იქვე, გვ. 104.

შავი ნიშანი, რომელიც ცოტა ხანს უნძრევლად, გაშეშებულსავით იდგა. ცოტა ხანმაც გაიარა, შავი საგანი შეინძრა და ცაზედ აშკარად გამოჩნდა არწივის სახე, რომელიც წყნარის, მაგრამ ძრიელის მოძრაობით დანავარდობდა…“ [1]

ბეჟია არწივის სილაღეს და თავისუფლად ნავარდის უფლებას შეჰხარის, შურს, რომ მასავით არ შეუძლია ფრენა და ნავარდი. ამის შემდეგ ბუნების მშიშარა, ბეჩავ არსებას, კურდღელს ხედავს, რომელსაც არწივი იჭერს და კლავს. მცირე ხნით ბეჟიას სულს გაორება იპყრობს, ხან არწივის ძალა მოსწონს, ხანაც კურდღელი ეცოდება. საბოლოო ჟამში კი არწივს კლავს და ამით თითქოს ბუნების წინააღმდეგ მიდის.

მომდევნო ნაწარმოები, რომელმაც პეიზაჟის მხატვრული დანიშნულების მხრივ მიიქცია ჩვენი ყურადღება არის „მამის მკვლელი’ (1882 წ.). მასში უპირველეს ყოვლისა პეიზაჟით წარმოდგენილია ბუნების მცდელობა, რომ თავისი სტიქიით შეაჩეროს ადამიანის ავისმომცველი ზრახვა. როდესაც გირგოლა ნუნუს გაბახებას გადაწყვეტს, ბუნება ღელავს, ძრწის, სურს წინ აღუდგეს გირგოლას ბილწ ჩანაფიქრს, მაგრამ მარცხდება. ამჯერად ადამიანი იმარჯვებს, ვერ აჩერებს ბუნების რისხვა და საზარელ დანაშაულს სჩადის. „…აქამდის მხიარული დღე ერთბაშად მოიქცა პირქუშ მგლოვიარედ. ცა და დედამიწა მოიფერა ტყვიის-ფრად და ეს ფერი თითქოს მძიმე ლოდს ადებდა ადამიანის გულს. ბოლოს ერთბაშად შეცხა, შეჩერდა ქარი, გაჩუმდა ყოველისფერი ბუნებაში; თითონ ჩამონადენი წყლის ჩხრიალიც კი უფრო ყრუდ მოისმოდა; კაკბების კაკაკნი და შურთხთა შტვენა, ისე ჩვეულებრივი საღამოს, აღარ მოისმოდა. ერთბაშად იჭექა ცამ, მოისმა გრიალი და ამას მოჰყვა წვრილი, მაგრამ ჩქარი ხორხოშელა, წვიმასთან ერთად ნარევი. მთა, მინდორი, ღელეები ერთბაშად თითქოს მდინარეებად გადაიქცა და გალექებული წარმოუთქმელის ძალით გაქანდა

[1] ალექსანდრე ყაზბეგი, მოთხრობები და რომანები, ტომი II, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1962, გვ.67.

თავქვე გირგოლა თითქოს გაექვავებინა ბუნების ძალას, შიგ გამოქვაბულის კარებში გაჩერებულიყო.“ [1]

პეიზაჟით გადმოცემულია ბუნების თანაგრძნობა და კეთილდამოკიდებულება ადამიანთა მიმართ იმ ეპიზოდში, როდესაც გაქცეული ნუნუ და იაგო, კობასთან ერთად თავშესაფარს ეძებენ ღამის გასათევად და ბუნება მათ სთავაზობს „კიდობანას“ ქვასთან მდებარე ბუნებრივ სამალავს. ბუნება ცდილობს, მიიპყროს მდევრის ყურადღება და თავისი სტიქიით აარიდოს განსაცდელი შეყვარებულ წყვილს.

ბუნებით აღტაცებას და ესთეტიკურ გრძნობას გამოხატავს პეიზაჟი, იმ ეპიზოდში, როდესაც კობა ჯიხვების შეჭიდებას უყურებს. ეს იყო სამყაროში მიმდინარე გარდაუვალი რეალობა, სადაც, სამწუხაროდ ,ზოგჯერ იმარჯვებს ძალა და არა სიმართლე.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში მრავლად არის პეიზაჟი, რომელსაც სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვა აქვს. ბუნებრივია ყველა ნაწარმოებისა და პეიზაჟის განხილვას ვერ შევძლებდით ამ ვიწრო ჭრილში, თუმცა შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ყველაზე მნიშვნელოვან ეპიზოდებზე. ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყაზბეგის ნაწარმოებებში პეიზაჟი არ გვხვდება უბრალო ფონის სახით. იგი კომპოზიციის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, სიუჟეტის მომდევნო განვითარებისათვის და აძლიერებს იმ ემოციებს, რომლებსაც განიცდიან პერსონაჟები. ყაზბეგთან პეიზაჟი მოწმობს, რომ სამყაროში ყველაფერი ერთიმეორეს ეფუძნება და ბუნება და ადამიანი ერთმანეთის გარეშე უბრალოდ არ არსებობენ. მისი ბუნება ერთგვარი თავშესაფარია პერსონაჟებისათვის და მათი შინაგანი სამყაროს ცვალებადობის მიხედვით იცვლის სახეს.

[1] ქართული პროზა, წიგნი XI, ალექსანდრე ყაზბეგი, მოთხრობები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, გვ. 246-247.

დასკვნა

სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოები, საჭიროებისდა მიხედვით, მიმართავს პეიზაჟს, რომელიც პროზაულ ნაწარმოებებში კომპოზიციის შემადგენელ ნაწილად გვევლინება.

აღნიშნული საკითხის შესწავლამ, XIX საუკუნის ქართველ 60-იანელთა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში, მისი მხატვრული დანიშნულების კვლევის მიზნით, მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე;

1.პეიზაჟში, რომელიც ბუნების სურათების აღწერას, იგრძნობა თვით ბუნების ანიმისტური, თუ ანთროპომორფული გაგება-გააზრება, რაც დაკავშირებულია ადამიანის ყოფასთან და ბუნებისადმი მის მიმართებასთან. რამდენადაც, პეიზაჟის შინაარსი წარმოადგენს მხატვრულ-ესთეტიკურად ცვალებადს, იგი სხვადასხვა ხვედრითი წონისაა მწერლის სტილის მეთოდის გათვალისწინებით, ამიტომ ჩვენ გავაკეთეთ მოკლე მიმოხილვა პეიზაჟის ფუნქციური დატვირთვისა, ძველ ქართულ მწერლობასა და რომანტიზმის ეპოქის ლიტერატურაშიც.

თუ აგიოგრაფიულ მწერლობაში პეიზაჟი, ძირითადად, დაკავშირებულია მოწამის, ან წმინდანთა სარწმუნოებრივი ყოფის აღწერასთან და ძირითადად, ემსახურება პიროვნების განწყობის გადმოცემას, რომანტიკოსებთან პეიზაჟი იძენს ოცნებასა და რეალობას შორის ერთგვარი დაპირისპირების ფუნქციას. რომანტიკოსებთან ბუნება წარმოადგენს ადგილს, რომლისკენაც მიისწრაფვის ლირიკული გმირი, აწმყო-რეალობისაგან თავის დაღწევის მიზნით, რაც მას დააფიქრებს ადამიანური ყოფის წარმავლობაზე და იმ საჭირბოროტო პრობლემებზე, რომლებიც დღის წესრიგში დააყენა თავისუფლება დაკარგული ქვეყნის მძიმე მდგომარეობამ.

ამდენად პეიზაჟი ქართველ რომანტიკოსებთან წარმოგვიდგება, ერთგვარ ოცნებისმიერ ფილოსოფიური გააზრებით წარმოდგენილ მხატვრულ ხერხად, რაც გადაჰყვება ქართველ რეალისტ მწერალთა შემოქმედებასაც.

2. ქართველ 60-იანელთა დიდი წარმომადგენლის, პოეტისა და პროზაიკოსის, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში პეიზაჟი, ძირითადად, წარმოგვიდგება, როგორც ინტელექტუალი ავტორის ეროვნული და სოციალური იდეოლოგიის გადმოცემის საშუალება და დაქვემდებარებულია ავტორის ძირითადი მიზანსწრაფვისა. ეს იგრძნობა, როგორც ლირიკაში, ისე ეპიკურ ნაწარმოებებში.

3. აკაკი წერეთელთან ლირიკასა, პოემებსა თუ მოთხრობებში პეიზაჟი, ძირითადად, ალეგორიული ხასიათისაა, რომელშიც პოეტი თავის იდეურ მრწამს აქსოვს, ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური თანასწორობის მიზანსწრაფვით.

4. საყოველთაოდ ცნობილი, მკვლევართა მიერ მოყვანილი, შედარება გრიგოლ ორბელიანის 'სადღეგრძელოდან", აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავთან", ბრძოლის დაწყების წინ, პეიზაჟის ჩართვისას ცხადყოფს, როგორც რომანტიკოსის თვალთახედვას, ისე რეალისტურ აღწერას, სადაც ჩართულია შედარებისათვის გამოყენებული გასულიერებული ბუნებაც.

5. ალექსანდრე ყაზბეგის პროზაში წარმოჩინდა პეიზაჟი, მისი სხვადასხვაგვარი ფუნქციური დატვირთვით. პეიზაჟი, როგორც საშუალება მოლოდინისა, რაღაც ფაქტის წინ, ისე გმირის გუნება-განწყობილების გადმოცემის, გაძლიერება შესუსტების მიზნით.

ამდენად, პეიზაჟის კვლევამ, აკაკის წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში, გვიჩვენა, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა თვალით ახლებურად დანახული რეალობა, რომელიც ერთ მიზანსწრაფვას ეხმიანება; ესაა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა. ზემოთდასახელებულ ავტორებთან პეიზაჟი, ხშირად გვხვდება ჩართული ეპიზოდის ფუნქციითაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაღდავაძე ნ. პეიზაჟის ლინგვისტური მახასიათებლები დისკურსის სხვადასხვა ჟანრში, თბილისი, თსუ, 2013, გვ.9 https://www.tsu.ge/data/file_db/library/bagdavadze_peizaJis.pdf
2. ჭილაია რ. ლიტერატურათმცოდნეობა-ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი, 2003, გვ.124.
3. გაჩეჩილაძე ს. ლიტერატურის თეორია, თბილისი, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1952.
4. გაჩეჩილაძე ს. ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, თბილისი, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი, 1957, გვ.185.
5. ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბილისი, ნაკადული, 1966, გვ. 103.
6. ჭილაია ა. ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბილისი, თსუ, 1971, გვ. 317-400.
7. გაფრინდაშვილი ნ. მირესაშვილი მ. ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი, 2008, გვ.99-128, 167-173, 195-224.
8. აბაშიძე კ, ეტიუდები (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან), თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962, 452
9. კოტეტიშვილი ვ. რჩეული ნაწერები, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1965, გვ. 59-166, 306-342, 543-582.
10. კეკელიძე კ. ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.),თბილისი, 1969, გვ.60,103
11. ქართული მწერლობა, ტომი I, თბილისი, ნაკადული, 1987, გვ.238, 467-468, 499, 652-654.
12. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბილისი, მეცნიერება, 1980, გვ.151.
13. ვისრამიანი, გვახარიასა ა. და თოდუას მ. რედაქციით, თბილისი, გამომცემლობა ლიტერატურა და ხელოვნება, 1964.400 გვ.
14. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო,1986. 288 გვ.
15. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი II, თბილისი, მეცნიერება, 1981, გვ.598, 601.
16. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბილისი, მეცნიერება, 1999.
17. ქართველი მწერლები სკოლაში, ტომი I, თბილისი, საქართველოს მაცნე.
18. ჯამბურია კ. კაციტაძე კ. რომანტიზმის ისტორიულ კულტურული კონტექსტი, კრებულიდან ქართული რომანტიზმი-ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები, თბილისი, 2012, გვ. 15-16.
19. მახარაძე ა. ქართული რომანტიზმი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1967.

20. ზანდუკელი მ. ახალი ქართული ლიტერატურა, ტომი II, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962, გვ. 60, 393-396.
21. ჭავჭავაძე ი. წერილები ლიტერატურაზე, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, ნაკადული, 1987, გვ. 71-72.
22. მინაშვილი ლ. ილია ჭავჭავაძე, თბილისი, თსუ, 1995, გვ. 3-413.
23. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1977.
24. ჯიბლაძე .გ. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი IV, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1974, გვ. 34-172, 342-390.
25. ჯიბლაძე გ. ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და პოეზია), ნაწილი პირველი, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1983, გვ.406.
26. ფუტკარაძე ტ. გამარჯვება გლოვის ღელეში, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2013, გვ. 27, 41.
27. მახარაძე ა. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი I, თბილისი, განათლება, 1972.
28. ქართული საყმაწვილო ბიბლიოთეკა, ტომი V, წერეთელი ა.(ლექსები, პოემები, მოთხრობები, სიტყვები), ნაკადული, თბილისი, 1986.
29. ბაქრაძე ა. თხზულებანი, ტომი I, თბილისი, მერანი, ლომისი, 2004, გვ. 199.
30. http://kids.ge/poesy-verse?id=1115
31. ორბელიანი გრ. საღამო გამოსალმებისა, თბილისი, მერანი, 1989, გვ. 179, 198.
32. წერეთელი ა. ტომი V, პოემები, თბილისი, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1956, გვ. 63.
33. ქართული პროზა, წიგნი XI, ყაზბეგი ა. მოთხრობები, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1986.
34. ყაზბეგი ა. მოთხრობები და რომანები, ტომი II, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1962.
35. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბილისი, განათლება, 1986.